სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი 17 დეკემბერი 1998 №231 (766) ფასი 50 თეთრი

ნინა პარასკევს ვწერდით: „ვინმეს რომ ათივე ეროვნულ ჩემპიონატში ერთი და იმავე გუნდისთვის ეხელმძღვანელოს? არის ასეთი პრეცედენტი." ფოთის „კოლხეთის" მწვრთნელს სოსო ფილიას ვგულისხმობდით, რომლის თავკაცობისას ბოლო წლებში კოლხებისთვის ყველაზე უარესი შედეგი ბრინჯაოს მედლები იყო. მაგრამ საქმე ისეა, ფილიას რეკორდის გაგრძელება, შესაძლოა, არ დასცალდეს

კოლხეთი: სოსოფილია თუ ჯუნგლის კანონი?

ორი-სამი დღეა, ხმები დაირხა, „კოლხეთის" მწვრთნელ სოსო ფილიას ათავისუფლებენ, მის ნაცვლად, „ტორპედოსა" და ფოთელთა ყოფილ მეკარეს გია ტყებუჩავას ნიშნავენო. გუშინ ისიც შევიტყვეთ, ტყებუჩავას უკვე ულოცავენ კიდეცო, მაგრამ...

ჯერ „კოლხეთის" მწვრთნელს სოსო ფილიას შევეხმიანეთ: „არა, მე არაფერი გამიგია, არავის უთქვამს, შენ გუნდიდან თავისუფალი ხარო. ისე კი, ერთს გეტყვით — კლუბს ფეხბურთელთა და მწვრთნელთა ვალი აქვს, დაახლოებით 50 ათასი: საკონტრაქტო თანხა, ნოემბერ-დეკემბრის ხელფასები და ორი მატჩის პრემია. დამეთანხმებით, ასეთ პირობებში მუშაობა ძნელია, თუმცა იმედი კი გვქონდა, ეგებ პორტს ჩვენთვისაც მოეცალა. სამწუხაროდ, 15 დეკემბერს დაგვიბარეს გასამრჯელოს გასასტუმრებლად, იმავე დღეს კლუბის უფროსობისთვის პირველი წრის ანგარიში უნდა ჩამებარებინა. არაო, ასე გვითხრეს, ფულს 25 დეკემბერს ელოდეთო. რა ვიცი, „კოლხეთში" ძალიან ცუდადაა საქმე. მე ამ სეზონის დასაწყისშივე დავწერე განცხადება გუნდიდან წასვლის თაობაზე, მაგრამ, ცოტა მოიცადე, სანამ შენს შემცვლელს ვიპოვითო, მითხრეს. მერე „გურიას" მოვუგეთ და მთხოვეს, მუშაობა გააგრძელეო. სხვა რაღა გითხრათ, ჩემი მოხსნის თაობაზე პირველად თქვენგან მესმის, მაგრამ იცოდეთ — ფილიას ასე იოლად ვერ წააქცევენ. მე ფეხბურთელებთან ვალში ვარ. ბოლოს, როცა „დინამოს" ვსტუმრობდით, გუნდი ჩემი ხათრით ჩავიდა თბილისში."

სოსო ფილია

სოსო ფილიამ, ახლავე უფროსობასთან დავრეკავ, ყველაფერს დავაზუსტებო, ესეც გვითხრა, მაგრამ, ეტყობა, ტელეფონმა უმტყუნა. კლუბის პრეზიდენტი და ფოთის პორტის უფროსი ჯემალ ინაიშვილი ვერც ჩვენ მოვიხელთეთ და ვერც ჯუნგლი ტყებუჩავას დავუკავშირდით.

„კოლხეთის" ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა კი თურმე საერთოდ არ ყოფილა საქმის კურსში, ფილიასი არ იყოს, მანაც, გადავრეკავ და ახლავე გავიგებ ამბავსო.

ბოლოს ხაინდრავამ ისლა გვითხრა, მწვრთნელის საკითხი ხვალ გადაწყდება, ჯუნგლი ტყებუჩავა კი მართლაც ერთ-ერთი კანდიდატია, ვისაც შეიძლება გუნდი ჩაბარდესო.

ერთი სიტყვით, „კოლხეთში" რა ხდება, თავად მწვრთნელმა და ტექნიკურმა დირექტორმა არ იციან ხეირიანად. ისე, ნუ გაგიკვირდებათ, ხვალინდელ „სარბიელში" თუ წაიკითხავთ — ათვალწუნებული სოსო ფილია გუნდიდან დაითხოვეს და ამიერიდან „კოლხეთში" ჯუნგლის კანონიაო.

კობა ინასარიძე

ჟენევა, 16 დეკემბერი...

გუშინ უეფამ წილი ჰყარა: კენჭისყრამ ზოგი დაინდო, ზოგსაც ლოდი არგუნა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურმა ტურნირმა ისე ჩაიარა, თასისთვის ოთხი ჩემპიონიღა იბრძვის. ფინალში გასასვლელად კი ორი თუ შეინახავს თავს, რადგან ერთი გათამაშებას მეოთხედფინალშივე გამოეთიშება, სულ ცოტა, ერთსაც ნახევარფინალში მოუწევს ბრძოლაზე ხელის აღება. საჩემპიონო წყვილი სამეზობლოცაა: „იუვენტუსი" საბერძნეთს, პირეოსში ჩავა, „ოლიმპიაკოსი" კი ტურინს. შარშანდელივით ერთმანეთს შეხვდნენ გერმანული კლუბები: ან „ბაიერნი", ან „ლაუტერნი" — გერმანელ ქომაგებს ამორჩევა მოუწევთ. ჩემპიონთა თასზე ინგლისური ფეხბურთის ბოლო იმედი „მანჩესტერ იუნაიტედი" უეფას თასის მფლობელ „ინტერს" დაეჭიდება. უეფას გენერალური მდივნის გერჰარდ აიგნერის ხელით კი

REUTERS ფოტო

კახი კალაძეს მეტოქედ ჩემპიონთა თასის მფლობელი მადრიდის რეალი ერგო

მანჩესტერი (ინგლისი) - ინტერი (იტალია)

რეალი (ესპანეთი) - დინამო (უკრაინა)

იუვენტუსი (იტალია) - ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

ბაიერნი (გერმანია) - კაიზერსლაუტერნი (გერმანია)

ნურც დებულებას დავარღვევთ, ნურც ვითას დავშლით!

ქართულ კალათბურთში საჩოთირო ვითარება შეიქმნა.

თბილისის „ვითა" ნებით გამოაკლდა ეროვნულ ჩემპიონატს და ეს კალათბურთის ფედერაციაში წარდგენილი განცხადებითაც დაადასტურა.

მცირე ხნის მერე „ვითამ" ჩემპიონატში დაბრუნება ისურვა, რის თაობაზეც ფედერაციას ახალი განცხადება აახლა.

განცხადებიდან განცხადებამდე „ვითამ" გამოტოვა ჩემპიონატის ორი მატჩი („აზოტთან" — მე-7 ტური, 7 დეკემბერს; სტუ-სთან — მე-8 ტური, 12 დეკემბერს).

12 დეკემბრიდან ამოქმედდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დებულების 4.8 მუხლი, რომლის თანახმადაც: „გუნდი, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ორ თამაშზე ან მიატოვებს ჩემპიონატს, იხსნება შეჯიბრებიდან. მისი შედეგები უქმდება, თუ მას თამაშების 50 პროცენტზე ნაკლები აქვს ჩატარებული."

ახლა ფედერაციის აღმასკომმა „ვითას" დაბრუნებაზე უნდა იმსჯელოს. ამ კლუბის ჩემპიონატში დაბრუნება კი წინამდებარე დებულების ანუ კანონის დარღვევაა.

„ისე, სიმართლე გითხრათ, მე „ვითას" ხელმეორედ დაშვების წინააღმდეგი ვარ. ამ შემთხვევაში ჩემპიონატის დებულება ირღვევა... მაშ, რა გამოვა, ამ კანონებს ტყუილად ვწერსებთ? თუ ნაცარს ვაყრით ხალხს თვალში?" — ეს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის როლანდ ხომერიკის აზრია („სარბიელი", 15 დეკემბერი, 1998).

„მართალია, ჩემპიონატის დებულება ხელმეორედ დაბრუნების უფლებას არ გვაძლევს, მაგრამ... მეც შემიძლია იგივე დებულება გადავშალო და არაერთი დარღვევა აღმოვაჩინო... საერთო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ, ჩემპიონატს და გულშემატკივარს „ვითა" შევუნარჩუნოთ... ბიჭებიც ისეთი მონდომებულები არიან, რომ უხელფასობას არც ჩივიან, თამაში უნდათ" — ეს „ვითას" ახალი პრეზიდენტის გია გაგნიძის აზრია („სარბიელი", 16 დეკემბერი, 1998).

კანონი (ამ შემთხვევაში, დებულება) უზენაესია, მას ყველა უნდა დაემორჩილოს და იგი ყველასათვის ერთი უნდა იყოს — ეს უდავო ჭეშმარიტებაა, რომელიც ჩვენში, სამწუხაროდ, ხშირადაა უგულებელყოფილი.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, ადამიანური კანონიც, რომელიც დაუწერელი კია, მაგრამ ზოგჯერ მისი ხელაღებით გაუფასურება-უარყოფაც არაა მართებული.

ამ შემთხვევაში ერთმანეთის იურიდიული და ადამიანური კანონები უპირისპირდებიან.

ეს ის სიტუაციაა, როცა ორივე მხარის პოზიცია გაგება-გააზრებას იმსახურებს: ფედერაციის მხრივ — პრინციპულობაა, „ვითას" მხრივ — გუნდის გადარჩენის ანუ ჩემპიონატში დაბრუნების სურვილი.

ფედერაციის აღმასკომს ან იურიდიული, ანაც ადამიანური კანონის დარღვევა მოუწევს: „ვითას" თუ დაუშვებს, საკუთარ წეს-კანონის არად ჩაგდება გამოუვა. არ დაუშვებს და, ძალიან ბევრ ადამიანს დასწყვეტს გულს.

იქნებ არსებობს გზა, რომელიც ამ ორ კანონს შეაჯერებს?

იქნებ ეს იყოს გამოსავალი — ითამაშოს „ვითამ" ეროვნულ ჩემპიონატში, ოღონდ უკონკურსოდ. მარტივად: მისი შედეგები ოფიციალურ საბუთებში არ აღირიცხოს.

ამით არც დებულება დაირღვევა და არც „ვითა" დაიშლება.

იქნებ კიდევ არსებობს სხვა, უკეთესი გამოსავალი?

თუკი არსებობს, ალბათ ყველას, ჩვენ კი ნამდვილად მხოლოდ ეს გვსურს.

კალათბურთი. ევროლიგა. X ტური

B ჯგუფი

ეფესი 53:80 პანათინაიკოსი

C ჯგუფი

ზადარი 79:82 ალბა

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი

9 ტური

17 დეკემბერი. ხუთშაბათი

შევარდენი – სდასუ

მაკაბი – დინამო

18 დეკემბერი. პარასკევი

სტუ – აზოტი

იხილეთ მეათე გვერდი

პროფესიონალი

ქართველმა ფეხბურთელებმა უცხოური საკლუბო ფეხბურთის გემო გაიგეს. გემრიელი კი გამოდგა დალოცვილი უცხოური ფეხბურთი თავისი ზიზილ-პიპილებითა და წარმტაცი რამე-რუმეებით — იმდენად გემრიელი, რომ მოხედვაც აღარ უნდათ ქართველებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისკენ. განვითარებულ საფეხბურთო ქვეყნებში ფეხბურთი საათის მექანიზმივით აწყობილი მომგებიანი ინდუსტრიაა, სადაც წამი-წამ და სანტიმეტრობითაა გათვლილი ყოველი და სადაც არაპროფესიონალს არაფერი ესაქმება.

აქედან კითხვა: ქართველ მობურთალებს ნამყვან ევროპულ კლუბებში რომ ფეხის მოკიდება უჭირთ, ამაში მათი არაპროფესიონალიზმი ხომ არ არის დამნაშავე? და პასუხიც — ალბათ, ჰო! ქართველ ფეხბურთელთა უმეტესობა არაპროფესიონალიზმითაა დაავადებული და ეს დაავადება არაერთი სიმპტომით გამოიხატება. მოვყვეთ თავიდან და დავახსიათოთ.

პროფესიონალი ალექსანდრე იაშვილი ბუნდესლიგელ „ფრაიბურგს“ კარგად მოერგო

ჩვენ, ქართული ინტერესების გათვალისწინებით ვთქვათ ზემოთ ნახსენებ ფასეულობათა შესახებ. ამათ შორის უმთავრესი, რაც პროფესიონალმა ფეხბურთელმა, აუცილებლად უნდა იცოდეს, არის

თავისი საქმის ფასი

ფეხბურთი მილიონების სიხარულია. ფეხბურთი მილიონების თამაშია და რაკი ფეხბურთი დიდი საქმეა, ამ საქმეს გულისყურით უნდა კეთება. ფეხბურთელს უნდა ესმოდეს, რომ, რადგან პროფესიონალი მოთამაშის კარიერას იწყებს, ბევრი რამ უნდა დათმოს და ასევე ბევრი რამ უნდა შესწიროს ფეხბურთს. ჰაიჰარად, ხამუშ-ხამუშ და სანახევროდ გარჯა კარგა ხანია, წარსულმა წაიღო, ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა ფეხბურთელები სტადიონზე „პირდაპირ რესტორნიდან“ მიდიოდნენ. ახლა სხვა ჟამია, სხვა საზომები, ჯოჯოხეთური, აუტანელი დატვირთვების გარეშე, ბოლომდე დაუხარჯავად არაფერი გამოვა.

ჩვენმა ფეხბურთელებმაც ეს უნდა გაითავისონ. რომ მოდგებიან და წუწუნებენ ჩემპიონატის დაბალ დონეზე, სიდუხჭირეზე (გვესმის მათი), უცხოეთისკენ უჭირავთ თვალი და გარბიან კიდეც იქით, იმაზეც ხომ შეიძლება იფიქრონ, რომ თავადაც უნდა შეეწიონ საერთო საკეთებელს. რა, დონეს მსაჯი აამაღლებს? ანდა, რაც უნდა ხმამაღალ უსტვინოს გულშემატკივარმა, ამით ქართულ ფეხბურთს რამე ეშველება? თუკი მოთამაშემ ბურთი ნამსისანად არ აგორა, არ ივარჯიშა და თვითსრულყოფაზე არ იზრუნა, ჩინოსანი რა, მართლა დომკრატით ხომ არ აწევს ფეხბურთის დონეს? დაიხარჯეთ, ბატონებო, დაანახვეთ ხალხს, რომ გინდათ, იცით ფეხბურთის თამაში (თქვენი საქმე) და ეჭვი არ შეგეპაროთ, დამფასებელიც გამოუჩნდება თქვენს საკეთებელს (თვით ჩვენი ჩაჩანაკი ჩემპიონატის პირობებშიც კი). არის, გვაქვს ამის მაგალითები. ჯერაც არიან ერვნულ ჩემპიონატში ფეხბურთელები, რომელთა გადასაბირებლად ნებისმიერი ქართული გუნდი (უღარიბესიც კი) გაიძრობს ცხრაპირ ტყავს. ასე რომ, ფეხბურთელმა თუ იცის ფეხბურთის, თავისი საქმის ფასი, აქედან გამომდინარე, ეცოდინება

თავისი თავის ფასი

რომელიც არა მხოლოდ ფულით ან საკონტრაქტო თანხით იზომება. გავიხსენოთ, რამდენი შემთხვევა ყოფილა, რომ ფეხბურთელს ზღაპრული კონტრაქტი ჰქონია ერთგან, მაგრამ რახან ხედავდა, რომ შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ავლენდა, სხვაგან ეძებდა ხოლმე საკეთებელს.

ახალი მიზანი, ახალი დონე, ახალი სიმაღლე უნდა ხიბლავდეს ფეხბურთელს. და რახან ჩვენი ფეხბურთელების მაგალითების მოყვანა უკვე მობეზრდა კიდეც ქართველ გულშემატკივარს, ისევ უცხოურ ფეხბურთს გადავწვდეთ — ადგა რონალდო და „ბარსელონადან“ „ინტერში“ გადავიდა... ათი ათასიდან ერთი კაციც ვერ იტყვის იმას, რომ რონალდო კატალონიაში ცუდად იყო, ან დამფასებელი აკლდა, ან ტიტული... მაგრამ მაინც გამოისყიდა (!) თავი.

ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, არ არის ეს ამბავი რთულად ასახსნელი. საქმე ის გახლავთ, რომ რონალდომ „ბარსელონაში“ ფაქტობრივად ამოწურა საკუთარი თავი, მაგრამ არა შესაძლებლობები და რახან შეატყო, რომ ესპანეთში მეტად ველარ გაიზრდებოდა, იტალიას მიაშურა, სადაც უფრო ფართო სარბიელი გადაეშალა.

ესე იგი რონალდომ იცოდა თავისი თავის ფასი. ესე იგი რონალდო პრიმერა დივიზიონზე მაღლა იდგა, რომელიც თავისთავად ძლიერი ჩემპიონატია, მაგრამ სერია A-ს ჯერაც ვერ შეედრება.

კვლავ და კვლავ ახალი სიმაღლე, ახალი და უფრო მაღალი დონე.

მსგავსი მაგალითებით უნდა იხელმძღვანელონ ქართველმა ფეხბურთელებმა. კი, მართალია, რონალდოებით ჩვენი ფეხბურთი ვერ დაიკვეხნის, მაგრამ როცა თანამედროვე ქართული ფეხბურთის სახე — კიკნაძე ან ცქიტიშვილი ბელგიის მესამე ლიგაში მიდის სათამაშოდ (თუნდაც „ტრამპლინური“ მიზნით) ეს ვერ არის კარგი ამბავი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი ერთი წამითაც კი ბელგიის მესამე ლიგის დონეზე აყენებს თავის თავს (არადა, იყო დრო, როცა იგივე ფეხბურთელებმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ბდღვერი ადინეს იტალიის 21 წლამდელთა ნაკრებს). თუმცა ბელგიაში კი არა, ყინულეთში, ისლანდიაში გარბიან ქართველი ფეხბურთელები, რადგანაც ეროვნულ ჩემპიონატში თამაში მობეზრდათ, აღარ იხარჯებიან მოედანზე. ესეც რთული მომენტია, ფეხბურთელს შეიძლება ყელში ჰქონდეს ამოსული ბურთის თამაში, მაგრამ სანამ თამაშობს და სადაც თამაშობს, სტადიონზე მისულ ქომაგს პატივი უნდა სცეს. როგორც არ უნდა წარიმართოს ფეხბურთელის ბედი, მან უნდა იცოდეს

გულშემატკივრის ფასი

უმთავრესი ფასეულობა, საფეხბურთო ფასეულობათა შორის — ფეხბურთი გულშემატკივარის გარეშე აღარ არის ფეხბურთი. თვითონ ქართველმა ფეხბურთელებმაც კარგად იციან, რას ნიშნავს ცარიელი ტრიბუნის წინ თამაში და ისიც სათქმელია, რომ, როცა სტადიონის ტრიბუნა ცარიელდება, ცრიელდება ტელეაუდიტორიაც.

ჩვენში მოდაშია უცხოური ფეხბურთი-კარიერა ერთი-ორი წლით ადრე, მაშინ, როცა ჯერ კიდევ შეეძლო ბურთის სხვაზე უკეთ გორება.

მწვრთნელის ფასი

თუკი ფეხბურთელმა მწვრთნელის ფასი არ იცის, მისი ფასი კაპიკია. მწვრთნელი საფეხბურთო სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. რომ არა მწვრთნელი, ნებისმიერი გუნდი კრილოვის ცნობილ კვარტეტს დაემსგავსება და მით უფრო განდაგან გაიწევენ ფეხბურთელები, რაც უფრო მაღალი დონის ვარსკვლავები იქნებიან ისინი.

პროფესიონალი ფეხბურთელი, პირველ ყოვლისა, თვითონ იძლევა მწვრთნელისადმი უსიტყვო მორჩილების მაგალითს. „ბაზარი“ და ლათაიები ბაზრობაზე და ბირჟაზეა კარგი, გუნდი გუნდს უნდა ჰგავდეს და გუნდს წარმმართველი, მკაცრი ხელი სჭირდება (ამ მხრივ, ნამდვილად არ გვაწყენდა გერმანელების მაგალითის გადმოღება).

„იუვენტუსის“ სახეს განსაზღვრავს ლიპი და არა დელპიერო, ანაც ინძაგი, „რეალისას“ ჰიდინკი და არა ზეედორფი, ანაც რაული და, თუ ვინმეს ჰგონია, „ფიორენტინა“ მხოლოდ ბატისტუტაა, ძალიანაც ცდება. ბატიგოლი დიდი ხანია ფლორენციელთა გულის ყვავილს წყვეტს, მაგრამ სანამ გუნდში ნამდვილი ოსტატი, ბებერი „ტრაპი“ არ მივიდა, „ფიორენტინამ“ სერიოზული განაცხადი ვერსად გააკეთა. ესე იგი, მივიდა ფლორენციაში ტრაპატონი და „ფიორემაც“ სახე იცვალა.

რაღა იტალია-ესპანეთი, აგერ უკრაინა ავიღოთ. ვინ არ ჰყავდა უკრაინას (ანუ კიევის „დინამოს“): ბლოხინი, ბურიაკი, მიხაილიჩენკო, სხვებიც... და მაინც, როცა ვამბობთ, უკრაინული ფეხბურთი, პირველ რიგში ვალერი ლობანოვსკის ფიქრიანი სახე გვიდგება თვალწინ...

ასეა, მწვრთნელი დიდი კაცია, გუნდში ღმერთია და, თუ იყო მარადონა, იყო ბილარდოც, თუ იყო კრუიფი, იყო მიხელსიც, თუ იყო პელე, იყო ფეოლაც. ჩვენზე კი ეს გვეთქმის, თუ არ არიან გუცაევი, ხურცილავა, მახარაძე, ძოძუაშვილი, მაშ ფეხბურთელები არიან?! და ისევ, პირველ რიგში ძლიერი მწვრთნელით განისაზღვრება

გუნდის ფასი

რომელსაც მხოლოდ კარგად ბურთაობით ანაც მწვრთნელის ტექნიკურ-ტაქტიკური ჩანაფიქრებით ვერ განსაზღვრავ.

გუნდი მწვრთნელია და ფეხბურთელი, ექიმია და მასაჟისტი, პერსონალია და ქომაგი. გუნდი — ერთსულოვნება, ერთი ნებაა და ერთი სურვილი.

ვარსკვლავები ქმნიან გუნდს და არა გუნდი — ვარსკვლავებს (აქედანაა მშვენიერი საფეხბურთო ტერმინები — „ვარსკვლავთა გუნდი“ და „გუნდი — ვარსკვლავი“).

ნებისმიერ შემთხვევაში, გუნდი მაღლა დგას ვარსკვლავზე ან ვარსკვლავებზე, გუნდის ფასი საუკეთესო ფეხბურთელით არ განისაზღვრება, პირიქით, გუნდის სიდიდე და ფასი სწორედაც რომ სხვებთან შედარებით დაბალი დონის (ნუ მოვერიდებით გამოთქმას — უარესი) ფეხბურთელებით განისაზღვრება. თუ ვარსკვლავს იმაზე ეჭნა გული და ყური, მე ვარ და ჩემი ნაბადიო და მხოლოდ თავის გამოჩენაზე იფიქრა — გუნდი დაიშლება. შედეგი კი... ამ დროს რა შედეგზეა ლაპარაკი.

ჰოდა, თუ პროფესიონალ ფეხბურთელს შედეგი უნდა, უნდა რამ შექმნას ფასეული, თავისი ინტერესი გუნდისას უნდა დაუქვემდებაროს. მით უმეტეს, ქართველებმა უნდა შეძლონ ეს, რომელთა „ვარსკვლავობაშიც“ მარტო ჩვენ კი არა, უკვე უცხოელებსაც ეპარებათ ეჭვი.

ისე, ისიც სათქმელია, პრესას რომ ფეხბურთელის სიძლიერეში ეჭვი შეეპარება, ცუდადაა იმ ფეხბურთელის საქმე, ვინაიდან ნებისმიერი ვარსკვლავის ჩამოყალიბებაში, განუსაზღვრელია

პრესის ფასი

პრესისა, რომელსაც ფასს ჟურნალისტების დონე და პროფესიონალიზმი ადებს.

წლების წინ ერთმა ნიჭიერმა ქართველმა ფეხბურთელმა უფრო ნიჭიერ ფრანგზე ასე თქვა — ეგ არც ისე დიდია, რეკლამამ განადიდაო. გავიდა წლები, იმ ნიჭიერმა ფრანგმა თავისი სიდიდე კი დაამტკიცა, მაგრამ სიმართლის მარცვალი მაინც ერია ჩვენებური მობურთალის ნათქვამში.

პრესას ბევრი შეუძლია. სპორტულ მასმედიას შეუძლია ადაზევოს ანაც დასამაროს სპორტსმენი, მაგრამ პრესის ძალა მაინც მისი ობიექტურობით იზომება. ამიტომ ნებისმიერ ჟურნალისტურ აზრს ზომიერება უნდა ახლდეს თან და გასდევდეს ლაიტმოტივად.

პრესისგან არ იყო, ყველაშვილის ჩამწიხვლავმა ვინი ჯოუნსმა თავი კინაღამ რომ მოიკლა? სხვამხრივ კი, კარგ პრესას რა სჯობია. ის, რასაც აკეთებს ფეხბურთელი, სწორედ მასმედიას მიაქვს ხალხის გონებამდე (ან გაზეთით, ან ტელევიზიით) და პროფესიონალმა ფეხბურთელმაც თავისი მისაგებელი უნდა მიაგოს პრესას.

ამ ბოლო ხანს, უცხოეთში არა და ჩვენში კი აღიზიანებთ ჟურნალისტების საქმიანობა ფეხბურთელებს.

რეკავენ, აპროტესტებენ, ბრაზდებიან, იბუტბიან — მათი აზრით, სამაგიერო ზომებს მიმართავენ... ეს კი არ არის სწორი გეზი. პრესას საზოგადებრივი აზრის შექმნა შეუძლია (ამისთვისაა მოწოდებული) და როცა ქომაგის და ჟურნალისტის აზრი ერთმანეთს ემთხვევა (უფრო სწორად, ჟურნალისტის ნათქვამი ქომაგს მართლად ენიშნება), ასეთ დროს ფეხბურთელის რეაქცია მხოლოდ აღიზიანებს საზოგადოებას.

ფეხბურთელმა თავისი სიმართლე რედაქციებში რეკვით, ანაც გაბუტვით კი არ უნდა დაამტკიცოს, არამედ მინდორზე ოსტატური გარჯით.

და როცა ქომაგი შეხედავს, რომ მასმედია „ჩაუსფრდა“ ვინმეს, ისიც გაღიზიანდება, ფეხბურთელის მხარეს დაიჭერს და „ჩასაფრებულს“ ზურგს აქცევს.

ეს კი პრესის სიკვდილის ტოლფასია.

პრესის ფასი მკითხველის ინტერესით განისაზღვრება. ფეხბურთელი — მასმედიის საშუალება — მკითხველი განუყოფელი ჯაჭვია და ისინი მყარად არიან ერთმანეთთან კავშირში.

ამიტომაც ფეხბურთელი — პროფესიონალი იმგვარადვე უნდა გაუფრთხილდეს მასმედიასთან ურთიერთობას, როგორც ქომაგთან. და უნდა იცოდეს ერთიც — მინდვრის გარეთ მყოფთ აინტერესებთ მისი მინდორზე გარჯა და პასუხის პასუხი.

ეს კი არ ესმით ჩვენს ფეხბურთელებს (უმეტესობას). მინდორზე, მინდორზე ამტკიცებს ფეხბურთელი თავის სიმართლეს და მართალ პროფესიონალს არც არავინ უსაფრდება.

კონსტანტინე გოგიშვილი

ტორპედო: რჩევებიან, მიდიან, მოდიან...

გუშინდელი დღე „ტორპედოსთვის“ რკინიგზის მძლეოსნობის მანეჟში ერთსაათიანი ვარჯიშით დაიწყო. მთავარს კი ამის შემდეგ ველოდით. როგორც წინა „სარბიელში“ ვწერდით, კლუბის ახალ ხელმძღვანელობას ფეხბურთელებთან ასევე ახალი კონტრაქტების გაფორმება ჰქონდა გადაწყვეტილი. ეს პროცედურა გვიან საღამოს მორჩა.

„ტორპედოს“ ბოლოდროინდელი შემადგენლობიდან შეთავაზებულ პირობებს 11 მოთამაშე დაეთანხმა, რაც შესაბამის ხელმოწერებითაც დადასტურდა.

გრიგოლ ჭანტურიას, დავით ასლანაძის, არჩილ ჩხაბერიძის, ალექსანდრე შეყრილაძის, ირაკლი მაღლაკელიძის, ვახტანგ თურმანიძის, კახა კვეტენაძის, კახა ჩხეტიანის, დავით ჯანაშიას და გიორგი იმედაძისგან განსხვავებით ზაზა ვაჩიბერაძემ მოსაფიქრებლად ორი დღე ითხოვა. ახალი შრომითი ხელშეკრულების დადებაზე ჯერჯერობით თავი შეიკავეს მეკარე დავით მამარდაშვილმა და 13 გოლით კლუბისა და ჩემპიონატის ბომბარდირმა ზურაბ იონანიძემ. რაც შეეხება გიორგი მეგრელაძეს, იგი კონტრაქტის პირობებზე მოსალაპარაკებლად საერთოდ არ გამოცხადებულა. ისე, მიზეზი კი ჰქონდა — გია გუშინ დაოჯახდა და ეტყობა, ახალშერთულ მეუღლესთან ყოფნა არჩია.

როგორც „ტორპედოს“ გენერალურმა დირექტორმა მურად ქუთათელაძემ გვითხრა, კლუბის ხელმძღვანელობამ გუშინ სხვა საკითხებზე ითათბირა. კერძოდ, გუნდის უახლოეს გეგმებზე. „ტორპედო“ ახალ წელს ქუთაისში შეხვდება, 5 იანვრიდან კი ანთალიას გაემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე. ამის შემდეგ ერთი კვირით ისევ ქუთაისს დაუბრუნდება, ხოლო მეორე შეკრებას ან ისევ ანთალიაში, ანაც კვიპროსზე გაივლის.

რაღა თქმა უნდა, „ტორპედო“ გაძლიერებაზეც ფიქრობს: 20 დეკემბერს გუნდს ვახტანგ ხვადაგიანიც შეუერთდება. გიორგი გოგიაშვილმაც საამღროოდ უნდა გადაწყვიტოს, მოვა თუ არა „ტორპედოში“. ქუთაისელები დიდად არიან დაინტერესებულნი გუნდში პაატა ჯინჭარაძის დაბრუნებით.

იუზა კაციტაძე

წავა დემეტრაძე კიევში?



გიორგი კეთილაშვილის ფოტო

როგორც საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და კიევის „დინამოს“ მცველმა კახა კალაძემ გვითხრა, მისი კლუბის მესვეურები „ალანიას“ ქართველი ბომბარდირით გიორგი დემეტრაძით სერიოზულად არიან დაინტერესებული. კალაძის თქმით, მას „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი ესაუბრა და დემეტრაძის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვა.

— მოლაპარაკებები მიმდინარეობს, კიევის „დინამო“ თავისას ცდილობს და როგორ გადაწყდება დემეს ამბავი, მომავალი გვიჩვენებს — გვითხრა კალაძემ.

გიგა გოგია

ჩემპიონებმა მეკარე დაიბრუნეს



ბადრი კვირიკაძის ფოტო

საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების მეკარე ზურაბ ბათიაშვილი კვლავ „დინამოშია“. მავანი იკითხავს, იგი ყოველთვის თსუ-ში თამაშობდა და უცვლელ ჩემპიონს როგორღა დაუბრუნდაო. როგორ და, შარშან ბათიაშვილი თსუ-ს ღირსებას იცავდა, წლევანდელი სეზონის დაწყების წინ კი „დინამომ“ გადაიბირა და ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც შეიყვანა. ამის მერე ბათიმ „დინამოში“ მესამე მეკარეობას ისევ სტუდენტობა არჩია და პირველ წრეშიც თსუ-ში გაისარჯა.

ახლა კი საქმე სხვაგვარადაა. დავით გვარამაძეს მტკიცედ გადაუწყვეტია „დინამოს“ დატოვება, ჩემპიონის ხელმძღვანელობამ კი — ერთი მეკარის, რამაზ სოღოლაშვილის ამარა ხომ არ დავრჩებითო და თსუ-ში განათხოვრებული ბათიაშვილიც უკან დაიბრუნა, თან შეუთვალა, 25 დეკემბერს ვიკრიბებით და ადგილზე იყავიო. ასე რომ, ზურაბი აწი „დინამოსთვის“ გაიჯვება.

რაც შეეხება მასსავით ასევე განათხოვრებულ კობა წიტაიშვილს, იგიც აპირებს თსუ-ს დატოვებას, ხოლო თუ სად ითამაშებს, ჯერ უცნობია. თუ „დინამო“ ყაბულს იქნა, თავისთან წაიყვანს, მით უმეტეს, ახლა ჩემპიონი, რომ იტყვიან, ს სხლისგან იცლეა. სამმა კაცმა უკვე დატოვა გუნდი, მათ მივათვალოთ წასასვლელად გამზადებული გვარამაძე, ჯელაძე და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი და...

გიორგი ვაშაკიძე

ოცდახუთსა ამ თვესაო...

ალბათ, გახსოვთ, მეათე ეროვნულის დაწყებამდე, რა საკარაფინ-ხდ-გომარეობა სუფევდა სტუდენტთა გუნდში. თსუ-მ ფაქტობრივად მოსამზადებელი ეტაპი ჩაგდო და მისი ჩემპიონატში [illegible] თუმცა უნივერსიტეტის რექტორის როინ მეტრეველის შუამდგომლობით [illegible] თამაშების დაწყებამდე ათი დღით ადრე პრობლემები ნაწილობრივ მოგვარდა და უნივერსიტეტელებმა პირველი წრეც დაიწყეს. ბუნებრივია, უვარჯიშებლებმა თავი დიდად ვერ გამოიჩინეს და აუტსაიდერთა შორის გვეელინებოდნენ.

შემოდგომის სეზონის მოწურულს გუნდს ახალი სპონსორი გამოუჩნდა შიდა ქართლის პოლიციის უფროსის ალეკო ბუკიას სახით. ფეხბურთელებს კუთვნილი თანხებიც დაურიგდათ, მაგრამ ფინანსურმა კრიზისმა კვლავ იჩინა თავი. გუნდმა პირველი წრე მე-15 ადგილზე ჩაამთავრა.

დღეისათვის თსუ-ში გაურკვეველი სიტუაციაა. კლუბის ხელმძღვანელობას დაგეგმილი ჰქონდა, სამეორეწრეო მზადება 25 დეკემბრიდან დაეწყო, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ამ თარიღმა მწვრთნელ-ფეხბურთელებისათვის სულ სხვა აზრი შეიძინა. ისინი 25 დეკემბერს მართლაც შეიკრიბებიან, მაგრამ არა სავარჯიშოდ, არამედ ხელფასების ასაღებად. ახალ პრეზიდენტს კი უთქვამს, რაღაცას მოგიხერხებთო, მაგრამ ის „რაღაც“ თუ არ გახერხდა, სტუდენტებს „სტუდენტურად“ მოუწევთ ახალ წელთან შეხვედრა.

თსუ-ს მწვრთნელები იმედიანად ელიან კათოლიკეთა შობის დღესასწაულს და თუ ყველაფერი დადებითად გადაწყდა, მართლმადიდებელთა ქრისტეშობის მეორე დღეს, 8 იანვარს, ფეხბურთელების გაწვრთნას განაახლებენ.

ხვიჩა სანიკიძე

ჩემი ცხოვრება ჩემი ფეხებია

ერთი ჩვეულებრივი, თბილისური ზაფხულის საღამო იყო. ეროვნული სტადიონის ნახევრადშევსებულ ტრიბუნებზე გულშემატკივარი საფეხბურთო საცოდაობას უცქერდა. თბილისის „დინამოს“ აურაცხელი იერიში მოზირული ბარიერის კედლებს ასკდებოდა. ბარიერს კი სტუმართა მეკარე გაევი ქმნიდა. იმ დღეს ბელარუსი შეუდარებელი იყო. ალბათ, მიაღწევდნენ სტუმრები სანადელს. მათი იერიშები სულ უფრო სახიფათო ხდებოდა, მაგრამ მშველელიც დროზე გამოჩნდა. შეცვლა ზე შემოსულმა რატი ალექსიძემ საჯარიმოს გარედან ისე ოსტატურად და თანაც ძლიერად დაურტყა გაევს, რომ მეკარემ ბურთს თვალილა გააყოლა. თბილისურმა პუბლიკამ იმ დღეს საქმეში პირველად იხილა ალექსიძე. მანამდე რატი ინგლისში, „ჩელსის“ ახალგაზრდულ გუნდში ბურთაობდა. სამწუხაროდ, ალექსიძე თბილისში დაბრუნდა. მაშინ ჩვენებური კარგ ფორმაში იყო. ცოტა ხანი ასეც გააგრძელა. მერე კი დაიწყო ჩავარდნის პერიოდი. ფორმადაკარგულმა ბევრი ოფლი ღვარა, რათა დროებითი გაურკვევლობისთვის თავი დაეღწია. ახლაც ბევრი აღიარებს, რომ ალექსიძის დაბრუნება შეცდომა იყო. პირველ რიგში თავად ფეხბურთელისთვის გამოდგა ცუდი.

ბადრი კვირიკაძის ფოტო

ერთ დროს რატი ალექსიძეს პოლონელი მეკარეც გაუბითურებია

ცმა შეიძლება მრავალი მიზეზი იპოვო. მინდორი არ ვარგოდაო, პენალტები ლატარიაო თქვა. სინამდვილეში მხოლოდ ჩვენი ბრალია ყველაფერი. მინდვრის საფარი ერთნაირი იყო ორივესთვის, ხოლო პენალტებისასაც თანაბარ პირობებში ვიყავით და გვაჯობეს. ეს ფაქტი იყო და ვერსად გავექცევით.

— ჩვენში ახლა ასეა, ოღონდ აქედან გააღწიონ და სათამაშოდ ყველგან წავლენ. შენთუ გიფიქრია „გაქცევაზე“

— ეს მხოლოდ ჩემზე როდია დამოკიდებული. არის არაერთი ფაქტორი, რომელიც დარჩენას მაიძულებს. პრინციპში, შეიძლებოდა, წავსულიყავი და დიდი პრობლემების გადაჭრაც არ იქნებოდა საჭირო, მაგრამ ასე დაუფიქრებლად და მოუმზადებლად სად წავიდე. ვფიქრობ, ჯერ აქაც შემიძლია, გავიზარდო.

— რატი ალექსიძე არავის უნახავს, სათამაშოდ გამოსულიყო და თავი დაეზოგა. მუდამ ბოლომდე იბრძვი, მაგრამ ზოგჯერ მეტოქესთან ურთიერთობისას ზედმეტი მოგდის. ტრიბუნიდან ასე ჩანს-ხოლმე, ირგვლივ არავის და არაფრის გერიდება. ალბათ, მიმიხვდი, საითაც ვუმიზნებ. ესტონეთთან, ეროვნული ნაკრების ამხანაგურ მატჩზე მოგახსენებ. მაშინ არბიტრს თავისუფლად შეეძლო, გაეძევებინე.

— ვიცი, რაზეც მეუბნებით. ნერვები მომეშალა და თავი ვერ შევიკავე. ჩემი მოქმედებით ასე გამოდიოდა, გუნდს ვალალატობდი, მაგრამ მთლად დამნაშავე არ ვიყავი. გულახდილად გეტყვით და ძალიან ვთხოვთ, დამიჯეროთ. ხელსაყრელ სიტუაციაში მივიღე ბურთი. ახლოს მცველი იდგა. ვიგრძენი, მისი მოტყუება არ გამიჭირდებოდა. გვერდიც ავუარე და მეუხეშა. თავიდან ვცადე ყურადღება არ მიმექცია და ბურთს გამოვუდექი. არ მომეშვა და ბოლოს შემაფურთხა კიდეც. ეს ისე მოახერხა, მსაჯს არ შეუმჩნევია. მეც არ დავაცხანე და ივივე „ფესტით“ ვუპასუხე.

მიუხედავად ამისა, ჩემს საქციელს ვერაფერით გავამართლებ. ტრიბუნებმაც მხოლოდ ეს დაინახა და ცუდი ბიჭი გამოვედი. თამაშს არაერთი დამწყები ფეხბურთელიც უყურებდა და ცუდი მაგალითი ვუჩვენე. თუმცა ვიმეორებ, იმ მომენტში, ალბათ, სხვაგვარად ვერც მოვიქცეოდი.

— ფეხბურთს დროებით თავი ვანებოთ. ის გვითხარი, როგორია რატი ალექსიძე მინდვრის გარეთ?

— რა გითხრათ. ალბათ, ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭია, რომელსაც უყვარს ახლობელი, მეგობარი და მზად არის, მათ დახმარების ხელი გაუწოდოს. კიდევ ფეხბურთის თამაში სურს სულით და გულით. გულშემატკივართა ხშირად გახარებასაც ნატრულობს.

— იმ ჩვეულებრივ ბიჭს მანქანით სწრაფი სიარულიც რომ უყვარს, თუ შეგიმჩნევია?

— არასწორად შეუნიშნავთ. ზომიერად დავდივარ...

— აბა, ახალთახალი BMV რამ შეიწირა?

— უბრალო უყურადღებამ. ტროლეიბუსს გვერდს ავუვლი-მეთქი. მანქანა ნელა დავძარი და მიკროავტობუსი დამეკახა.

— კი დაგიჯერებ, მაგრამ ახლა რო რუსული ავტომანქანით და-დ[illegible]რ?

— არაუშავს. მალე ჩემი მანქანა ფორმაში იქნება. ისევ ჩვეულებრივად ვივლი, მაგრამ პირობას გაძლევთ, სწრაფად არა. ჩემი ცხოვრება ჩემი ფეხებია! ვეცდები ამათ არაფერი დავუშავო. ჯერ თავის და მერე ფეხების იმედი მაქვს...

— თავისუფალ დროს რას აკეთებ?

— ერთფეროვნებას ვერ ვიტან. მუდამ სიახლეს ვეძებ. თავისუფალ დროსაც შესაბამისის ძიებაში ვატარებ. კიდევ ახლო მეგობრების წრეში მიყვარს ტრიალი. ჩვენ თითქმის ერთად დავიწყეთ თამაში და ახლაც ერთად მოვდივართ — მე, დათო მუჯირი, აჩიკო სახვაძე, თორნიკე რუხაძე, ჟორა კიკნაძე, მიშა ასათიანი, სხვებიც.

— შენი ახლო მეგობრები უკვე დაოჯახდნენ. მხოლოდ შენ დარჩი ცალად. თუმცა, ამბობენ, რატისაც ცოლი მოჰყავსო...

— ჯერ მაგაზე არ მიფიქრია. ტყუილი უთქვამთ. ის კი მართალია, ჩემი ახლო მეგობრები უკვე დაოჯახდნენ. ისე, როცა ერთად ვიკრიბებით, მხოლოდ მე მივდივარ ეულად და მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობაში არ ვარ, მაგრამ არაუშავს, მაგის დროც მოვა.

— მომავალი როგორ წარმოგიდგენია?

— ჩემი მომავალი ჩემს ხელთაა. ვიშრომებ და საწადელსაც მივაღწევ. მე ნაღდ პროფესიონალად ჩამოვყალიბდები, ნორმალური ქვეყნის ნორმალურ გუნდში მინდა კარიერის გაგრძელება და ამისთვის თავს არ დავზოგავ.

— ცოტა ხნის წინ ოპერაციას გიწინასწარმეტყველებდნენ. ესტონელების წინააღმდეგაც ფეხმტკივანმა ითამაშე...

— მარცხენა საზარდული მტკიოდა საშინლად. ზაქრო თელიამ მიშველა. იმედია, მეორე წრეს უტრავმოდ ჩავამთავრებ, თუმცა გუნდის ინტერესებისთვის ფეხმტკივანიც გავალ მინდორზე. კაცი მცირე ტკივილს არ უნდა შეუშინდე.

მამუკა ძვანტალიანი

ქენევა, 16 დეკემბერი...

REUTERS ფოტოგადაღ

ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალური მატჩები

3-17 მარტი

CHAMPIONS LEAGUE

ევროპაში გამართული ევროთასების კენჭისყრის შედეგად ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებული მადრიდის „რეალი“ კიევის „დინამოს“ დაუპირისპირდება. ეს გუნდები ადრეც, 1972-73 წლების სეზონშიც შეხვედრიან ერთმანეთს, თანაც ამავე ეტაპზე. მაშინ ესპანელებმა ორი მატჩის ჯამში 3:0 მოიგეს და ჩემპიონთა თასის ნახევარფინალშიც გავიდნენ.

ლიგის შარშანდელ გათამაშებაში „დინამო“ მეორე ესპანურ კლუბს, „რეალის“ მოსისხლე მტერ „ბარსელონას“ შეხვდა და საქვეყნოდ შეარცხვინა — კიევში 3:0 მოუგო, ხოლო კატალონიაში 4:0.

ტურინის „იუვენტუსი“, რომელიც ზედიზედ სამი სეზონის განმავლობაში გადიოდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ბოლოს სწორედ მადრიდულ კლუბთან დამარცხდა, საბერძნეთის ჩემპიონ „ოლიმპიაკოსს“ დაუპირისპირდება. ბერძნები ამ დონის ტურნირის მეოთხედფინალურ ეტაპზე პირველად გავიდნენ. ეს ორი გუნდი 1967-68 წლების სეზონში ჩემპიონთა თასის პირველ ეტაპზე შეხვდა. „იუვენტუსმა“ ჯამში 2:0 მოიგო.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ მეტად რთული ჯგუფური ბარიერი გადალახა და იღბალმა მეოთხედფინალშიც სახელოვანი და ძლიერი მეტოქე, ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი მილანის „ინტერი“ არგუნა. ჩემპიონთა თასზე ეს ორი გიგანტი პირველად შეხვდება ერთმანეთს. ინგლისელებმა ამ თასის მოპოვება მხოლოდ ერთხელ, 1968 წელს შეძლეს, იტალიელები კი ჩემპიონთა თასს ორჯერ — 1964, 65 წლებში ფლობდნენ, ორჯერვე ელინიო ერერას თავკაცობით.

„მანჩესტერისა“ და „ინტერის“ შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მოედანზე პირველად გავლენ ერთმანეთთან საბრძოლველად დეივიდ ბექემი და დიეგო სიმეონე. მაშინ, საფრანგეთი 98-ის მერვედფინალურ მატჩში, სადაც ინგლისის და არგენტინის ეროვნული გუნდები ხვდებოდნენ, ამ ორ ფეხბურთელს შორის კონფლიქტი მოხდა, ბექემი უღირსი საქციელისთვის (სიმეონეს ფეხი ჩაარტყა) მინდვრიდან გააძევეს, ხოლო შემდეგ სამშობლოში მოღალატედ შერაცხეს.

მეოთხე წყვილი გერმანელია. ქვეყნის ჩემპიონი „კაიზერსლაუტერნი“ თავისი თავკაცის ოტო რეჰაგელის ყოფილ გუნდს, ვიცე-ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნს“ ხვდება. ეს კლუბები 1979-80 წლების სეზონში უეფას თასის მეოთხედფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ორი მატჩის ჯამში უფრო სახელოვანმა „ბაიერნმა“ იმარჯვა 4:2.

უეფას თასი. მეოთხედფინალური მატჩები

2-16 მარტი

UEFA CUP

ამ ტურნირის მეოთხედფინალში მხოლოდ სამი ქვეყნის — იტალიის, საფრანგეთის და ესპანეთის წარმომადგენლები გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ერთი ქვეყნის ორი კლუბი არც ერთ წყვილში არ არის.

საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე მყოფი „მარსელი“ ბოლო დროს მშვენივრად მოთამაშე, პრიმერა დივიზიონში ჯერჯერობით ასევე მეორე ვიგოს „სელტას“ შეხვდება. საფრანგეთის პირველობის ლიდერი „ბორდო“ სერია A-ს მეოთხედგილოსან „პარმას“, მადრიდის „ატლეტიკო“, ვინც ამჟამად მეხუთეა ესპანეთში, იტალიის ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატ „რომას“ (მესამე ადგილი), ხოლო მეოთხე წყვილში ურთიერთობას საშუალო დონის იტალიური („ბოლონია“) და ფრანგული („ლიონი“) გუნდები გაარკვევენ.

მარსელი (საფრანგეთი) — სელტა (ესპანეთი)
ბოლონია (იტალია) — ლიონი (საფრანგეთი)
ბორდო (საფრანგეთი) — პარმა (იტალია)
ატლეტიკო (ესპანეთი) — რომა (იტალია)

თასების თასი. მეოთხედფინალური მატჩები

4-18 მარტი

Cup Winners' Cup

თასთა თასის მფლობელი, უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით სავსე ლონდონის „ჩელსი“ მიმდინარე გათამაშებაში მესამე სკანდინავიურ გუნდს შეხვდება, ამჯერად ნორვეგიულ „ვალერენგას“. მოსკოვის „ლოკომოტივი“ ისრაელის „მაკაბის“ დაუპირისპირდება. მეტად რთული მეტოქე შეხვდა ხორვატიულ „ვარტექსს“ — ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერი „მალიორკა“. ისევე როგორც ბერძნულ „პანიონისს“, მის დამარცხებას ვარსკვლავებით გადაჭედილი მრისხანე რომის „ლაციო“ შეეცდება.

ჩელსი (ინგლისი) — ვალერენგა (ნორვეგია)
ლოკომოტივი (რუსეთი) — მაკაბი (ისრაელი)
ვარტექსი (ხორვატია) — მალიორკა (ესპანეთი)
ლაციო (იტალია) — პანიონისი (საბერძნეთი)

კომენტარები, კომენტარები...

„მანჩესტერ იუნაიტედის“ გენერალური მდივანი, კენ ბერეტი:

„მეოთხედფინალში მხოლოდ ძლიერები არიან, მაგრამ რონალდოს გუნდთან ჩვენი პაექრობა ყველაზე ლამაზი იქნება. „ინტერთან“ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, უამრავჯერ შეხვედრივართ ამხანაგურ მატჩებში და ორივეს ჩინებულადაც გვითამაშია, მაგრამ ოფიციალურ მეტოქეებად, თუ არ ვცდები, პირველად გადავეყარეთ ერთმანეთს. ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობა პოლ ინსის გამო ჩამოყალიბდა („იუნაიტედმა“ 1995 წელს „ინტერს“ ინსი მიჰყიდა). მანჩესტერელებს ევროპულ სარბიელზე სახელის მოხვეჭა გვაქვს გადაწყვეტილი და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. „ინტერს“ ერთ-ერთ ფავორიტად მივიჩნევ, შესაბამისად ჩვენი შანსები 50-50-ზეა“.

„ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტი ჯანარია ვისკონტე:

„მეოთხედფინალში ჩვენი შეხვედრა მართლაც ყველაზე დიდ ინტერესს გამოიწვევს. მწამს, რომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი ფინალში გავა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ დეკემბერში ვსაუბრობთ, შეხვედრა კი მარტში უნდა შედგეს. სისუსტე ყველას ახასიათებს, რადგან იდეალური გუნდი ქვეყნად არ არსებობს“.

მიუნხენის „ბაიერნის“ გენერალური მდივანი კარლ ჰოპნერი:

„გასულ სეზონში, მეოთხედფინალში „დორტმუნდს“ შევხვდით, წლეულს ისევ გერმანულ კლუბთან, „კაიზერსლაუტერნთან“ გვიწევს დაპირისპირება. თან, პირველ შეხვედრას ისევ შინ ვმართავთ. ტელევიზიამ უკლებლივ ყველა გუნდის ავან-ჩავანი ზეპირად შეგვასწავლა, ასე რომ, თანამემამულესთან თამაში იოტისოდენა უპირატესობადაც არ უნდა მივიჩნიოთ. ფაქტობრივად ეროვნული ფეხბურთი უნდა გაიმართოს, ხოლო ეს მაყურებელს მაინცდამაინც არ მოეწონება“.

„რეალის“ პრეზიდენტი ლორენსო სანი:

„იმთავითვე ბედნიერი ვიყავი, რადგან „ინტერთან“ ვედარ ვითამაშებდით. ჩვენ ხომ ერთ ჯგუფში ვიყავით, ხოლო თანაჯგუფელთა შეხვედრა მეოთხედფინალში არ შეიძლებოდა. რაც შეეხება კიევის „დინამოს“, მასთან ბრძოლა ძალიან ძნელი იქნება და უთუოდ სიფრთხილე გვმართებს. თუ ჩვენ უკრაინელებთან სათამაშოდ იმ განწყობით გავალთ, რომ „დინამო“ „ინტერი“ არ არის და მისი ძლევა იოლი იქნება, მთელს ჩვენს ნაამაგარს ქარს გავატანთ“.

„იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტი რობერტო ბეტეგა:

„იოლი თამაში სულაც არ გველის, რადგან „ოლიმპიაკოსი“ იმ ქვეყნიდანაა, რომელშიც ფეხბურთი ძალიან სწრაფად ვითარდება. პირეოსის გუნდი ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. თანაც პირველი შეხვედრა ტურინში გვიწევს“ — თქვა მან.

„ოლიმპიაკოსის“ დირექტორი პეტერ კოკალისი:

„მოწინააღმდეგეს უდიდეს პატივს ვცემთ. ევროპაში რომ მოვდიოდით, შვიდივე მეტოქისთვის ვიყავით მზად. შიში არავისი გვაქვს. „იუვენტუსთანაც“ ღირსეულ ბრძოლას ვაპირებთ“.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის კენჭისყრას კახა კალაძე თბილისში შეხვდა. ის ამბავი, რომ წილისყრამ კიევის „დინამოს“ მეტოქედ მადრიდის სამეფო კლუბი „რეალი“ არგუნა, კახამ პირველად „სპორტიულ უურნალ“ [illegible] და, მართალი გითხრათ, მაინცდამაინც დიდი [illegible] ამან, ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა და ჩვენი პირველი კითხვაც სწორედ კიევის „დინამოს“ მომავალი მეტოქის შესახებ [illegible]

კახა კალაძე: რეალი? საინტერესო მეტოქეა

— ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი ის დონეა, სადაც სუსტი გუნდების ადგილი არ არის. მე თუ მკითხავთ, წილისყრის შედეგები კიევის „დინამოსთვის“ საკმაოდ ნორმალურია და არც არავითარი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელ გუნდს შევხვდებით ამ ეტაპზე. მერწმუნეთ, იოლი და გასასეირნებელი მეტოქე არც ერთი არ იქნებოდა.

— „რეალი“?

— „რეალი“? ვთვლი, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია ევროპაში, ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებული და კლუბებს შორის წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონი. მეტად ძლიერი და საინტერესო მეტოქეა, შესაბამისად, მასთან თამაშიც საინტერესო იქნება.

— კიევის „დინამოს“ ჯგუფიდან გასვლა რომ ჰქონდა განზრახული, ვიცით, მაგრამ კონკრეტულად რას გეგმავთ, ან რას ელით ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშებიდან?

— კონკრეტულად... წლეულს კიევის „დინამომ“ რაც კი დაისახა მიზნად, ყველაფერი შეასრულა. ჯგუფიდანაც გავედით, ჩემპიონატზეც ღირსეულად გამოვედით, ერთი სიტყვით, სამდურავი არ გვეთქმის. მომავალზე კი, ახალი წლის შემდეგ რომ შევიკრიბებით, მაშინ ვიმსჯელებთ.

— კახა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის წლევანდელ შემადგენლობაზე რას იტყვი?

— პირველი წელია, რაც ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშე, ამიტომ შთაბეჭდილებაც განსაკუთრებული მაქვს. მოკლედ გეტყვით — ეს სულ სხვა ფეხბურთია, სულ სხვა დონე.

— არ შეიძლება შენი გოლის შესახებ არ გკითხოთ. რაც უნდა იყოს, იგი ქართული ფეხბურთისთვის ისტორიულია — პირველი ჩემპიონთა ლიგაში.

— ეს კიევის „დინამოსთვისაც“ არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოდგა. „ლანსთან“ ისეთი თამაში გაჩაღდა, პირველი გოლის ფაქტორზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ჩანდა, რომ ან აქეთ გავიდოდა გოლი, ან იქით. მოხდა ისე, რომ მე გავიტანე და, ფაქტობრივად, შეხვედრის ბედიც მაშინ გადაწყდა.

— ჯგუფში სამი მეტოქე მოიტოვეთ. რომელ მათგანს გამოარჩევდით?

— „არსენალს“. საოცრად ერთსულოვანი გუნდია, განსაკუთრებით ძლიერად ლონდონში ვვეთამაშნენ.

— კიევის „დინამოში“ სერიოზული ცვლილებები უნდა მოხდეს. კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაზეც გვიამბე.

— მართალია, ცვლილებები იქნება. გუნდს დატოვებენ ლუჟნი, გოლოვკო და, ალბათ, შევჩენკოც. ეს უკანასკნელი მეოთხედფინალურ მატჩებს კი ჩაატარებს „დინამოში“, მაგრამ მერე გუნდს დატოვებს და, სავარაუდოდ, „მილანში“ გადაბარგდება, რომელიც მასში 30 მილიონს იხდის. გარკვეულია გოლოვკოს ახალი კლუბიც. იგი ინგლისურ „ლივერპულში“ ითამაშებს, დღესდღეობით ინგლისშია და სამედიცინო გამოკვლევას გადის. რაც შეეხება ლუჟნის, მას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, თუმც კი ბევრი გუნდი ეპატიჟება ინგლისიდან და პორტუგალიიდან.

— ლობანოვკაზე რას გვეტყვი? ვიცით, რომ იგი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა უკრაინულ ფეხბურთში.

— გეთანხმებით, ნამდვილად მთავარი ფიგურაა. ამასთან, მეტად თბილი ადამიანია და უდიდესი მწვრთნელი ევროპაში, თუ ვნებავთ, მსოფლიოშიც.

— მის უმძიმეს დატვირთვებს როგორ უძლებ?

— თქვენც იცით, რომ მე საქართველოში ფიზიკურად ერთ-ერთ ძლიერ ფეხბურთელად ვითვლებიდი და მეგონა, არც უკრაინაში ვამიჭირდებოდა. პირიქით კი მოხდა — თავდაპირველად ვარჯიშებზე ვეცემოდი კიდეც ისე მიჭირდა. მერე ერთი კვირა ნახევარი დატვირთვით მავარჯიშებდნენ. ამის შემდეგ კი ნელ-ნელა შეეჩვია ორგანიზმი ყველაფერს და ახლა ინ კონდიციამდე მიგვიყვანეს (მეც და მთელი გუნდიც), ოთხი ტაიმი შეგვიძლია ვირბინოთ.

— კიევის „დინამოს“ მოსამზადებელ პერიოდზეც გვითხარი.

— 28 დეკემბერს დილის ათ საათზე შევიკრიბებით და კიევის მინი-ფეხბურთის ტურნირზე ვითამაშებთ. ამის მერე საახალწლოდ შინ გამოვიშვებენ და 3 იანვარს კვლავ ბაზაზე მოვიყრით თავს. 5 იანვარს გერმანიაში გავეშურებით, შტუტგარტთან ახლოს არის პატარა ქალაქი რუთინი, სადაც ტრადიციულად ეშზადება ხოლმე კიევის „დინამო“. იქ ორ კვირას დავყოფთ, შემდეგ კი ისრაელში გავალთ შეკრებას. უკრაინის ჩემპიონატი მარტში განახლდება.

— კახა, კიევის „დინამოს“ არც ერთ ფეხბურთელს არ აქლია ყურადღება უცხოური კლუბებიდან, შენ თუ შეგეხმიანა ვინმე?

— როგორც ვიცი, ჩემით „ლივერპული“ იყო დაინტერესებული, მაგრამ „დინამოს“ პრეზიდენტმა მირჩია, არ მეჩქარა. მე ყველაზე ახალგაზრდა ვარ კიევურ კლუბში, კონტრაქტითაც ორი წელი დამრჩა სათამაშო და ამიტომ აღარ მოვისურვე სხვაგან წასვლა. მომავალი წინაა, არსად მეჩქარება, დრო მოვა და მეც გადავალ რომელიმე ევროპული დონის გუნდში. მანამდე კი კიევშიც მშვენივრად ვგრძნობ თავს, ვმეგობრობ გუსინთან, შევჩენკოსთან, რებროვთან.

ძონსტანტინე გოგიშვილი

სარგბიელის არქივიდან

1998 წელი. 19 აგვისტო. უკრაინა — საქართველო. ამ ფოტოზე აღბეჭდილთაგან ყველაზე ჟინიანად ბურთისკენ ხელგაწვდილი კახა კალაძე იბრძვის

უცბად გენუაში

იტალიის „სამპდორიას“ ინგლისელი დევიდ პლატი გაწვრთნის.

ბოლო ტურში „ლაციოსთან“ 2:5 მარცხის შემდეგ, გენუის კლუბის ხელმძღვანელობამ „სამპდორიას“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი თანამდებობიდან გაათავისუფლა. კლუბის პრეზიდენტს ენრიკო მონტოვანის არ ეჭაშნიკა, რომ კლუბი სერია A-ს ფსკერისკენ დაეშვა.

— გუნდს სიახლე სჭირდება. როგორც ჩანს, ძველი მეთოდები არაა საკმარისი პრობლემის აღმოსაფხვრელად. მწვრთნელის ცვლილება აუცილებელია და ვფიქრობ, ჩვენ დროულად ვიმოქმედეთ — მხოლოდ ეს განუცხადა მონტოვანიმ ჟურნალისტებს.

პრეზიდენტის გადაწყვეტილება, კლუბის თავკაცად დაენიშნა სამწვრთნელო გამოცდილების არმქონე დევიდ პლატი, ცოტა უცნაურია. იტალიაში ხომ ძალზე იშვიათად ხდებიან ახალგაზრდა მწვრთნელები სერია A-ს კლუბის თავკაცები. რამდენად გაუმართლებს პლატი პრეზიდენტს, ძნელი სათქმელია. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ინგლისის 16 წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი დევიდ პლატი „სამპდორიას“ მწვრთნელად დაინიშნა.

მონტოვანიმ „სამპდორიას“ გაწვრთნა „პარმას“ და დორტმუნდის „ბორუსიის“ ყოფილი მწვრთნელი ნევიო სკალას, ასევე არგენტინელ დანიელ პასარელასაც შესთავაზა, მაგრამ ორივესგან უარი მიიღო. ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი დევიდ პლატი დათანხმდა.

თავის დროზე პლატი „სამპდორიაში“ თამაშობდა და გარდა ამისა, კარგად იცნობს იტალიურ ფეხბურთს, როგორც მოთამაშე. გენუის კლუბის გარდა პლატი „ბარის“ და „იუვენტუსის“ ღირსებასაც იცავდა, თუმცა „სამპდორიას“ გარდა სხვა კლუბებში რაიმე განსაკუთრებულისთვის არ მიულწევია.

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ პლატის „სამპდორიაში“ გადაბარგების გამო წუხილი გამოთქვა. ინგლისის ფეხბურთის მმართველნი თურმე პლატის ჰოდლის თანაშემწედ გამწესებას აპირებდნენ უახლოეს მომავალში. სამწუხაროდ, მათ გეგმები ჩაეშალათ.

დევიდ პლატის „სამპდორიაში“ გადაბარგების ცნობა გუშინ გაავრცელა საგენტო „როიტერმა“. რამდენწლიანი კონტრაქტი გაფორმა პლატმა იტალიურ კლუბთან, ან რა თანხას მიიღებს, ცნობილი არ არის.

დევიდ პლატი იტალიას დაუბრუნდა

ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა, ტონი ბენქსმა, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს, რათა ინგლისს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაში მხარი საზღვარგარეთმაც დაუჭიროს, ბანგკოკში ვიზიტი ავადმყოფობის გამო გადასდო. ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომელმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბენქსი მართლა ავადაა და მისი ვიზიტის გადადება კავშირში არ არის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი თავმჯდომარის, გრეგ კელის თანამდებობიდან გადადგომასთან. ბენქსის ჯანმრთელობის გაუარესება ხელს არ შეუშლის 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გმირს, ბობი ჩარლტონსა და 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის მოსაპოვებელი კამპანიის დირექტორს, ალეკ მაკგივენს ბანგკოკში ჩასვლაში. ბანგკოკში აზიის თამაშები მიმდინარეობს.

ინგლისური გუნდის „ბლექბერნ როვერსის“ ახალმა მწვრთნელმა, ბრაიან კიდმა პირველი ფეხბურთელი იყიდა. „ბლექბერნმა“ „ნიუკასლ იუნაიტედს“ 3,96 მილიონ დოლარად გარემარბი კით გილესპი გამოართვა. გილესპი ჩრდილოირლანდიელია. მან „ბლექბერნთან“ ოთხწლიანადახანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა. ნიუკასლის გუნდში გილესპის საქმეები ბოლოხანს ცუდად მიდიოდა. ფეხბურთელმა ტრავმის შემდეგ მხოლოდ რვა შეხვედრა ჩაატარა. გილესპი თავის დროზე „ნიუკასლში“, 1994-95 წლების სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მოხვდა. მანჩესტერელებმა იგი ენდი კოულში გაცვალეს და ფულიც დაამატეს.

გერმანიას 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად სერიოზული კამპანია რომ ჰქონდა გაჩაღებული, ისედაც ნათელი იყო, მაგრამ ახლა კიდევ უფრო გაცხადდა, რადგან მოძრაობას სათავეში თვით ფრანც ბეკენბაუერი ჩაუდგა. ბეკენბაუერი, რომელიც 1974 წელს ფეხბურთელის, ხოლო 1990 წელს მწვრთნელის რანგში ფლობდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, კამპანიის ლიდერის თანამდებობაზე ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს, ეგიდიუს ბრაუნს შეცვლის. „ფრანცმა ფეხბურთელობისა და მწვრთნელობის დღეებში მსოფლიოში დიდი სახელი დაიგდო, ამიტომაც ვგონებ, ახალი თანამდებობა მისთვის უპრიანია“ — განაცხადა ბრაუნმა. თავად ბეკენბაურმა დასძინა: „ენერგიას იმას მოვახმარ, რომ გერმანიამ ძალიან დიდ კონკურენციას გაუძლოს და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი გახდეს“. დღეისათვის გერმანიის კონკურენტები გახლავან ინგლისი, ბრაზილია, მაროკო და განა. მოსალოდნელია, რომ მალე ამ ქვეყნებს სამხრეთ აფრიკაც შეუერთდება.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის ცნობით, ქვეყნის ეროვნული ნაკრები თებერვალში აშშ-ს ესტუმრება და ფლორიდაში ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. პირველი მატჩი 6 თებერვალს ჯექსონვილში შედგება. ევროპის ჩემპიონები მასპინძლებს შეხვდებიან, 9 თებერვალს კი მაიამიში მათი მეტოქე კოლუმბია იქნება.

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, დენილსონმა განაცხადა, რომ თავისი კარიერის უმძიმეს წუთებს ებრძვის. მოგეხსენებათ, მასში ესპანურმა „რეალ ბეტისმა“ 35 მილიონი დოლარი გადაიხადა, ის კი ამ ძნელად წარმოსადგენი თანხის საფასურს ვერაფერს აკეთებს. კულმინაციური მომენტი შაბათს, პრიმერა დივიზიონის მორიგი ტურის შეხვედრაში იყო: დენილსონმა მადრიდის „ატლეტიკოს“ კარში პენალტი აიცილა. „მე დიდი ფული ვღირვარ და გულშემატკივრები მინდორზე სამართლიანად ელიან იმედების გამართლებას. ოჯახი ჩემთანაა, რაც ძალიან მეხმარება. მარტო რომ ვიყო, საშინელ დღეში ვიქნებოდი. ეჭვი არ მეპარება, მუყაითი შრომით ყველაფერს გამოვასწორებ“ — განაცხადა დენილსონმა. „რეალ ბეტისი“ დღეისათვის 20 გუნდიან ჩემპიონატში მე-14 ადგილზეა. მას 14 შეხვედრიდან მხოლოდ 5 აქვს მოგებული.

გერმანელი თომას ჰელმერი შესაძლოა ინგლისურ „ლივერპულში“ გადავიდეს. მოგეხსენებათ, „ლივერპულის“ ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე მაღალი კლასის მცველს ეძებს, მიუნხენის „ბაიერნის“ 33 წლის სტოპერი კი სწორედ ისეთია, ულიეს რომ სურს. კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს. როგორც ცნობილი გახდა, „ბაიერნი“ ჰელმერში 1,68 მილიონ დოლარს ითხოვს, ულიე კი ვეტერანში ამხელა თანხის ? დახდას ერიდება. თურმე ფრანგ მწვრთნელს თვალი კამერუნელი რიგობერტ სონგისა და კიევის „დინამოს“ ფეხბურთელისთვის, ალექსანდრ გოლოვკოსთვისაც დაუდგამს. ეს წყვილი ამ დღეებში ლივერპულში, გუნდთან ერთად ვარჯიშობს და იმედოვნებს, რომ ჰელმერის თაობაზე მოლაპარაკებები ჩაიშლება. სონგი უნიკალური ფეხბურთელია. იგი გახლავთ ერთადერთი კაცი, ვინც ორ მსოფლიო ჩემპიონატზე გაიძევეს მოედნიდან. დღეს კამერუნელი იტალიური სერია A-ს ერთ-ერთ უსუსტეს გუნდში „სალერნიტანაში“ თამაშობს. იტალიური გუნდი სონგის სანაცვლოდ 5 მილიონ დოლარს ითხოვს. ულიე მოლაპარაკებებს აწარმოებს პოლონურ „ვიძევთანაც“. მას ლოძის გუნდის მცველი ტომაშ ლაპინსკი მოსწონებია. ლაპინსკის ფასი 4,5 მილიონი დოლარი გახლავთ.

ინგლისურმა კლუბმა „ნიუკასლ იუნაიტედმა“ განაცხადა, რომ თუ რომელიმე კომპანიას მისი ყიდვის სურვილი გაუჩნდება, იგი მზად უნდა იყოს თითო აქციის საფასურად 110 პენსის გადახდისათვის და, რაც მთავარია, გარიგებებზე საუბარს მანამდე არ ექნება აზრი, სანამ ბრიტანეთის მონოპოლიათა სახელმწიფო კომისია თავის საბოლოო სიტყვას იტყვის „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ტელეკომპანია BSKyB-ს ცნობილი ხელშეკრულების გამო. ზემოხსენებული კომისია დასკვნას 12 მარტამდე წარმოადგენს.

ესპანეთის ნაკრებისა და 90-იანი წლების დასაწყისის დიდი „ბარსელონას“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ხულიო სალინასი იაპონიიდან სამშობლოში ბრუნდება. 36 წლის სალინასს, რომელიც ბოლო წლებში „იოკოჰამაში“ თამაშობდა, თავის ახალ გუნდად სუსტი „ალავესი“ შეურჩევია. სალინასმა კარიერა 1982 წელს ბილბაოს „ატლეტიკში“ დაიწყო, საიდანაც ჯერ მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა, შემდეგ კი, 1988 წელს, „ბარსელონაში“. კატალონიის დედაქალაქის გუნდში მან ექვსი ბრწყინვალე სეზონი გაატარა. იოკოჰამაში გადაბარგების წინ სალინასი ორი წლის განმავლობაში „დეპორტივო ლა კორუნიაში“ გამოდიოდა.

რუმინულმა გუნდმა, ბუქარესტის „რაპიდმა“ მწვრთნელად დანიშნა დუმიტრუ დუმიტრიუ. დუმიტრიუმ ბუქარესტელებთან შვიდთვიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი შეცვლის მირჩა ლუჩესკუს, რომელმაც ამასწინათ მილანის „ინტერს“ მიაშურა და იქ ლუიჯი სიმონი შეცვალა. „რაპიდის“ მენეჯერმა დინუ დრაგანმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ზაფხულიდან თანამდებობას ისევ ლუჩესკუ დაუბრუნდება. დიმიტრიუ 52 წლისაა. ადრე ბუქარესტის ცნობილ გუნდში „სტიაუაში“ მუშაობდა და იგი ოთხჯერ გახადა რუმინეთის ჩემპიონი. 1997 წელს იგი ათენის აეკ-საც წვრთნიდა.

ხორვატიული კლუბის, „კროაციას“ მცველი, ნაკრების წევრი დარიო სიმიჩი მილანის „ინტერში“ სამნახევარი წლით გადადის. სიმიჩში იტალიელები 10 მილიარდ ლირას ანუ 6,3 მილიონ დოლარს იხდიან. მოლაპარაკების თანახმად, 23 წლის ფეხბურთელი სატრანსფერო თანხის ნახევარს ჯიბეში ჩაიდებს და გარდა ამისა, წელიწადში ხელფასად 920 ათასი დოლარი იქნება.

მილანის ახლომახლო

— **მართალი** გითხრათ, ჯერ არაფერი ვიცი. თავდაპირველად „მარსელის“ სამომავლო გეგმებში გავერკვევი და „იუვენტუსსაც“ საბოლოო პასუხს მაშინ შევუთვლი. ისე კი ტურინიდან მართლაც დამიკავშირდნენ — მსოფლიოს ჩემპიონმა კრისტოფ დიუგარიმ ჯერჯერობით ზუსტად არაფერი უწყის თავის მომავალზე. ამბობენ, იგი „იუვენტუსში“ მიდისო.

ტურინული კლუბი, ამ შემოდგომაზე კრიზისში რომ ჩაეფლო და თავდამსხმელების ნაკლებობამ შეაწუხა, ზღვისპირელ მარსელელებს რამდენიმე დღის წინ შეეხმიანა. თუ ვის თაობაზე, თავში ვთქვით. კლუბის მწვრთნელმა როლან კურბისმა დიუგარის იტალიაში გადასვლა არ გამორიცხა. თუმცა ისიც დაამტკიცა, ყველაფერი შეთავაზებულ თანხაზეა დამოკიდებულიო. თუ „მარსელში“ დიუგარის შემცვლელი ვერ გამოიძებნა, თავდამსხმელს არსად გაუშვებს. კურბისი იმაშიც ღრმადაა დარწმუნებული, რომ კრისტოფ დიუგარის დაბრუნება იტალიაში ამჯერად უკეთესი იქნება, ჯიდრე პირველად. ადრე დიუგარი „მილანში“ ირჯებოდა.

— წინასწარ მიჭირს იმის თქმა, რა როგორ იქნება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ „იუვენტუსში“ გადასვლის შემთხვევაში იტალიურ ფეხბურთს გაცილებით იოლად შეეგუები, ვიდრე „მილანში“ ყოფნისას. მიზეზი მეგობრებია — დიუგარის ნაზრევი კურბისის თქმულს ემთხვევა.

სხვათა შორის, თუ „იუვენტუსში“ გადავა, კრისტოფ დიუგარი ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს — თავდამსხმელმა უეფას თასის გათამაშებაში უკვე დაიცვა „მარსელის“ ღირსება.

— ჯერჯერობით დიუგარი ყურადღების ცენტრში გვყავს. ჩვენ რამდენიმე თავდამსხმელთან გვაქვს კავშირი და რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო მიესადაგება „იუვენტუსის“ სტილს, იმას გადავიბირებთ. ყველაფერს მომავალში მოეფინება ნათელი, ჯერ არაფერი გადაწყვეტილა — ჯაკომო ლორენტინიმ „იუვენტუსის“ გეგმებზე განაცხადა.

ჯერ მართლაც არაფერია გარკვეული.

ირაკლი ილაშვილი

სარბიელის არქივიდან

კრისტოფ დიუგარი

ნეტა განახათ

რატომ ლიდერობს „ფიორენტინა“ იტალიის პირველობას? მწვრთნელს, ჯოვანი ტარპატონის ამ კითხვაზე მარტივზე მარტივი პასუხი აქვს. იმიტომ, რომ „ფიორენტინაში“ გაბრიელ ბატისტუტა თამაშობს. „ფენომენთა შორის ყველაზე ფენომენალური გაბრიელია“ — ამბობს მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი.

იტალიის პირველობა სულ მალე შუა წელს მიაღწევს, „ფიორნტინა“ კი ოთხი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს. ლიდერობა დონ ტრაპისთვის უცხო ხილი არ არის. „იუვენტუსის“ სათავეში დგომისას მან ექვსჯერ მოიპოვა სკუდეტო ანუ ქვეყნის ჩემპიონის წოდება, ხოლო მეშვიდედ „ინტერი“ აიყვანა ეროვნული ფეხბურთის ოლიმპზე.

სარბიელის არქივიდან

გაბრიელ ბატისტუტა

„**დღევანდელი** „ფიორენტინა“ პლატინის, ბონეკისა და პაოლო როსის დროინდელ „იუვენტუსს“ მაგონებს — ადარებს ძველს და ახალს ტრაპატონი. — „გუნდში დიდი ნიჭით დაჯილდოვებული ფეხბურთელები მყავს. მათ ნებისმიერ წუთში შეუძლიათ ნებისმიერი თამაშის მოგება“

ბოლო ტურში სწორედ „იუვენტუსის“ დამარცხება (1:0) გახლდათ ერთობ სიმბოლური, საჭიროზე აღარაფერს ვამბობთ.

„ჩრდილში დარჩენა აღარ შეიძლება“ — ამბობს დონ ტრაპი — „ჩვენ ჩემპიონის ტიტულისკენ მივიწევთ და მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეები ჯერ გზიდან არ ჩამოგვიშორებია, ცხრილის სათავეში ერთობ მყარი პოზიცია გვიჭირავს. თანაც, ვგონებ მომავალში უკეთ შევძლებთ თამაშს“

„ჩემი შეგონება ასეთია: ფეხბურთელებმა მანქანა მუდმივად 360 კილომეტრი საათით უნდა მართონ. მნიშვნელობა არა აქვს გზად გაავდრდება თუ არა. მათი თვალი სულ გზისკენ უნდა იყოს მიპყრობილი რათა არ გადაიჩეხონ“ — დასძენს ტრაპატონი.

და კიდევ: „მე მყავს ხალხი, რომელსაც შეუძლიათ ჩქარა მართვა. მყვანან ისეთებიც, რომელთაც სწრაფ მანქანაში ჯდომასთან შეგუება ხელეწიფებათ, თუმცა უმთავრესი კიდევ უფრო სწრაფად მართვის სურვილია და სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ მიზანს მივაღწევთ“.

ტრაპატონის უმთავრეს კონკურენტებად „პარმა“ და „რომა“ მიაჩნია, მაგრამ კონკურენტები რას დაკლებენ გუნდს, რომელსაც გაბრიელ ბატიტუტა ჰყავს, კაცი, რომელმაც რონალდო დაჩრდილულ ფენომენად აქცია.

„დღეს ბატისტუტაზე ძლიერი თავდამსხმელი მსოფლოში არ მოიძებნება. რონალდო კარგ ფორმაში რომც იყოს, მაინც ამას ვიტყოდი. ერთი განახათ როგორ ვარჯიშობს ეს კაცი კვირის განმავლობაში, რაებს აკეთებს საწვრთელ მოედანზე. იგი სულ წინამძღოლის როლშია. გასახდელში თანაგუნდელებს გამარჯვების რწმენით გაჟღინთავს ხოლმე“ — აღფრთავანებულია მრავლისმომსწრე მწვრთნელი.

ბლომანჟე დადნა

მორიგი ინგლისური სკანდალი

ამბავი

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ხელმძღვანელის გარეშე დარჩა. გრემ კელი, კაცი, რომელიც მთელი ათი წლის განმავლობაში ასრულებდა აღმასრულებელი შეფის მოვალეობას, სამშაბათს თანამდებობიდან გადადგა. ასოციაციის ზედა ეშელონებში ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე კეით უაისმანსაც უნდობლობა გამოუცხადეს, მაგრამ ეს უკანასკნელი წასვლას არსადაც არ აპირებს. უაისმანის საკითხის განსახილველად ინგლისური ფეხბურთის მამები იანვარში შეიკრიბებიან და მისი მომავალიც სწორედ იქ გადაწყდება.

რა მოხდა?

ცოტა შორიდან დავიწყოთ. 1968 წელს, საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარედ გრემ კელი დაინიშნა და ამ პოსტზე მთელი 21 წელი იმუშავა, როგორც ახლა ამბობენ, საკმაოდ ნაყოფიერადაც. ამიტომაც არ გაკვირვებია არავის, როცა 1989 წლის თებერვალში კელი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელ შეფად დაამტკიცეს. წესით მას აქაც არ უნდა გასჭირვებოდა მუშაობა, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო — კელის საქმეები ნელ-ნელა უკან მიდიოდა და საბოლოოდ ასოციაციის არსებობის 135-წლიან ისტორიაში ყველაზე სკანდალურ, უცნაურ გადადგომამდე მივიდა. ასეთი რამ ინგლისში ჯერ არ მომხდარა.

კელის ახალი სავარძელი კარგად მორგებული არც კი ჰქონდა, ქვეყანა შემზარავმა ცნობამ რომ შეძრა — 1989 წლის 15 აპრილს, სტადიონ „ჰილსბოროზე", ასოციაციის თასის ნახევარფინალური მატჩის მსვლელობისას, სადაც ერთმანეთს „ლიერპული" და „ნოტინგემ ფორესტი" ხვდებოდნენ, ფანებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა, შეიქმნა აურზაური, რასაც ერთ-ერთმა ტრიბუნამ ვერ გაუძლო, ჩაინგრა და თან 96 ადამიანის სიცოცხლე წაიყოლია.

სრულიად ინგლისი ტრაურმა მოიცვა. ყველა ელოდა, რომ თასის ფინალი აღარ გაიმართებოდა, ამით დაღუპულებს მიეგებოდათ პატივი. თუმცა კელიმ სხვაგვარად განსაჯა — ზუსტად სამ კვირაში, როგორც წინასწარ იყო დაგეგმილი, ფინალური შეხვედრა ჩატარდა. კელისკენ პირველად მაშინ დაიძრა უკმაყოფილების ტალღა.

გრემ კელის სატელევიზიო გამოსვლები შემდგომში მოსახლეობას ძირითადად უსიამოვნო ამბებს ამცნობდა — ერიკ კანტონასთან დაკავშირებული სკანდალური ისტორია, როცა ფრანგმა ფეხბურთელმა ერთ-ერთ გულშემატკივარს ისე დარტყა, კინაღამ მოკლა, ხულიგნობის და არეულობების ძალიან ხშირი ფაქტები და, რაც მთავარია, ფინანსური უწესრიგობანი, რომელთა მიჩქმალვას ინგლისური ფეხბურთის თავკაცი ყველანაირად ცდილობდა, მაგრამ კარგად არ გამოსდიოდა — საზოგადოებას ეჭვები ღრღნიდა.

ამავდროულად ხალხი, ვინც კელისთან ერთად მუშაობდა, მას დიდი იუმორის და შარმის მქონე პიროვნებად ახასიათებდა. მან კოლორიტული კაცის სახელი დაიგდო.

ერთხელ პოპულარულ გაზეთ „გარდიანში" ასეთი რამ დაიწერა — იგი მოღუშულ დათვს ჰგავს, რომელსაც ძალე ზამთრის ხანგრძლივი ძილის პერიოდი უწევსო. ხოლო ცნობილმა მესვეტემ პიტ დეივისმა, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისადმი მიძღვნილ წიგნში ასეთი შედარება მოიყვანა — კელი რაღაც საშუალოა ბლომანჟესა და საკონტეინერო გემს შორის.

და მაინც, ხალხი სპორტის უსაყვარლესი სახეობის მმართველით უკმაყოფილო გახლდათ, ისევე, რ.ოგორც ფეხბურთის სპეციალისტები.

საბოლოო დარტყმა თავის თავს კელიმ თავადვე მიაყენა — მან და ზემოხსენებულმა უაისმანმა, ყველასგან მალულად და შეუთანხმებლად, უელსის ფეხბურთის ასოციაციის ანგარიშზე სესხის სახით 3,2 მილიონი გირვანქა (5,39 მილიონი დოლარი) გადარიცხეს, რომელიც უკან რვა წლის შემდეგ უნდა მიეღოთ. სამაგიეროდ, უელსს მხარი უნდა დაეჭირა ინგლისისთვის, რომელიც ერთბაშად იბრძვის უეფასა და ფიფაში არსებულ კომიტეტებში მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას ხმის უფლებაზე და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ. ამ უკანასკნელის მისაღწევად კი ფიფას კომიტეტებში საკუთარი კაცის ყოლა აუცილებელია. ასეთი „კაცები" უელსს მრავლად ჰყოლია, ინგლისს კი არა და კელიმაც გარკვეული დახმარების სანაცვლოდ უელსელებს მხარდაჭერა მოსთხოვა. ერთი შეხედვით ამაში გასაკვირი და აღმაშფოთებელი არაფერია, მაგრამ...

გრემ კელი

პირველ რიგში ის, რომ კელიმ და უაისმანმა ეს ყველაფერი თანამშრომლებთან შეუთანხმებლად გააკეთეს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, აკრძალულია და მეორე — ბოლო ხანებში ინგლისური მასმედია ჩვენი წერილის გმირის გაკოტრების ამბავმა აჭრელა. ჟურნალისტებმა ეს ორი ისტორია ერთმანეთს დაუკავშირეს და ბევრ საინტერესო, ამავე დროს სკანდალურ ფინანსურ დარღვევებსაც მიაგნეს, რომელთა გამოშეუურებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

შედეგი

კელი, რომელიც 23 დეკემბერს 53 წლის გახდება, მიხვდა, რომ საქმე ცუდად არის და გადადგა.

როგორც ყოფილმა ბანკირმა, გრემ კელიმ კრახი განიცადა.

როგორც ბლექპულელი ტრამვაის მძღოლის შვილს, მას ასოციაციიდან მიმავალი გზის ცალმხრივი ბილეთის აღება მოუწია, თანაც მექრთამის და თაღლითის სახელით.

რეზონანსი

— კელისა და უაისმანის საქციელმა ინგლისელ ფანებს დიდი საფეხბურთო ზეიმის მასპინძლობის შანსი მოუსპო. ამ ორი ადამიანის „წყალობით", ახლა ფიფა მხოლოდ სასწაულის შემთხვევაში გამართავს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ინგლისში — წერს გაზეთი SUN.

— მომხდარი არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს ფიფას მომავალ გადაწყვეტილებაზე. ინგლისმა კვლავინდებურად უნდა დაკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები — სტადიონების შესაბამისი რაოდენობა და მათი კეთილმოწყობა, ტექნიკური უზრუნველყოფა, ტელესაკომუნიკაციო მოშახურეობის მაღალი დონე — ეს სიტყვები ფეხბურთის მმართველი ორგანოს პრეზიდიუმ კეით კუპერს ეკუთვნის.

აპრილამდე ისევ ისევ

მსგავსი რამ აქამდე ერთადერთხელ, 1966 წელს მოხდა, როცა აზიისა და აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციები ფიფას განუდგნენ. მსოფლიოს მერვე ჩემპიონატისთვის მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ამ ორ კონფედერაციას მხოლოდ ერთი საგზური გამოუყო, რაც, ცხადია, მათ არ ესიამოვნათ და გადაწყვეტი ნაბიჯიც გადადგეს — შემოსწყრნენ მსოფლიოს ჩემპიონატს. მიუხედავად პროტესტისა, ინგლისში ერთმა აზიურმა სახელმწიფომ, საბჭოეთზე ორიენტირებულმა კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მაინც ითამაშა. მათ კონფედერაციის ფიფასთან დამოკიდებულება არად ჩაადგეს და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ავსტრალიას სძლიეს.

მდგომარეობა ახლაც დაიძაბა. თუმც ფიფას ამჯერად აზიელები უსხლტებიან, აქაოდა, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მხოლოდ ორი საგზური რად გამოგვიყავითო — აზიელებს კიდევ ერთი სურთ. აფრიკის ფეხბურთის ფედერაცია იმიტომაა ჩუმად, რომ მათ ფიფამ ხუთი საგზური უბოძა, რაც შავკონტინენტელებს სავსებით აკმაყოფილებთ.

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი იაპონიასა და კორეაში კი არა, სადმე სხვაგან რომ ტარდებოდეს, აზიელებს ასეთი ამბავი ეგებ არც აეტეხათ, მაგრამ ვინაიდან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ავტომატურად, მასპინძლების რანგში დაშვებულ იაპონიასა და კორეას გარდა მათ მხოლოდ ორი გუნდით წარდგენა შეეძლებათ, ამიტომ აიმაღლეს ხმა.

— ვთხოვთ ფიფას, გადაწყვეტილება გადასინჯოს. ჩვენთან ფეხბურთი უფრო და უფრო ვითარდება და აზიურ ფეხბურთს მეტი ყურადღება სჭირდება. ახლანდელი დადგენილებით კი ჩვენ კონტინენტზე ფეხბურთი ფრთებს მთელი სიგრძე-სიგანით ვერ გაშლის. აზიის ფეხბურთის კონფედერაციის სახელით ფიფას კიდევ ერთი ადგილის გამოყოფას ვთხოვ — ორიოდ დღის წინ ამ სიტყვებით მიმართა ფიფას პიტერ ვილაპანმა, აზიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა.

თუ ვილაპანის თხოვნა შედარებით უწყინარია, აზიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ, ამავდროულად ქუეეითის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა შეიხმა ახმად ალ-ფაჰად ალ-საბაჰმა ფიფას ლამის ომი გამოუცხადა: „აზიელებმა ჩვენი უფლებებისთვის ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, არაფერი დავუთმოთ, რადგან თუ ერთხელ უკან დავიხიეთ, მეორედ, უბრალოდ, თავად მოგვაწვეებიან". შეიხმა ახმადმა ფიფას, ერთ-ერთ გამოსვლაში მაფიაც უწოდა.

ახლა აზიის ფეხბურთის მმართველნი ბანგკოკში იმყოფებიან. იქ, ტაილანდის დედაქალაქში, აზიის ხალხთა თამაშები მიმდინარეობს. აზიის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელთა სხდომები და შეხვედრებიც სწორედ იქ იმართება.

ბანგკოკში ღელავენ, შვეიცარიაში კი ჯერჯერობით დადუმებულან. ფიფას შტაბბინაში მსოფლიოს ფეხბურთზე მზრუნველნი გაზაფხულზე შეიკრიბებიან აზიელთა პროტესტის განსახილველად. მანამდე ყველაფერი ძველებურად დარჩება.

ირაკლი ილაშვილი

გერმანია

XXVI ტურის ბუნდესლიგა მატჩი

ჰერტა 10 ფრაიბურგი (27)

ჰერტა: კირალი, რეკდალი, ვან ბურიკი (მაასი 14), სვერისონი, ტომი, შმიდი, ტრეჩოკი, ჰარტმანი, ვოში (ნოიენდორფი 77), რაისი (დარდაი 59), პრეეტცი

ფრაიბურგი: გოლცი, კორელი, დიარა, შ. მიულერი (შუმანი 56), კოლი, ბაია, ჰუზიაშვილი (პავლინი 77), გიუნეში (ვასმერი 77), ფრონცეკი, იაშვილი, სელიმი

გაფრთხილება: რეკდალი, სვერისონი, მიულერი, ბაია, შუმანი

მსაჯი: ვაგნერი

სამშაბათს ბუნდესლიგის ჩემპიონატის პირველი წრე ალექსანდრე იაშვილისა და ლევან კობიაშვილის „ფრაიბურგმაც" დასრულა. მეთექვსმეტე ტურის მატჩი ბერლინში „ჰერტასა" და „ფრაიბურგს" შორის 5 დეკემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ უამინდობის გამო 15 დეკემბრისთვის გადმოიტანეს.

ამ მატჩამდე „ჰერტას" ზედიზედ სამჯერ მოეგო, „ფრაიბურგს" — ორჯერ. წარმატებული სერიის გაგრძელება, ბუნებრივია, ორივეს სურდა. საბოლოოდ მისაელ პრეეტცის 27-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით „ჰერტამ" 10 მოიგო და მეხუთე საფეხურამდე აღზევდა. „ფრაიბურგს" კი ამჯერად ქართველმა ლეგიონერებმაც ვეღარ უშველეს.

მთელი შეხვედრის განმავლობაში ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი საგოლე მომენტი თუ შეიქმნა. პრეეტცის გოლამდე ორიოდე წუთით ადრე ბერლინელ ტრეჩოკს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ახლო მანძილიდან კარს ააცილა. ცოტა ხნის შემდეგ ვოშმა სამი ფრაიბურგელი ჩამოიცილა და პრეეტცმაც ხუთიოდე მეტრიდან აუღელვებლად გაიტანა.

მეორე ტაიმში „ფრაიბურგი" ოდნავ გააქტიურდა. ერთ ეპიზოდში კობიაშვილი მეკარესთან პირისპირაც დარჩა, მაგრამ მასპინძელთა უნგრელმა მეკარე კირალმა აკვობა. მალე სელიმს შეექმნა კარგი საგოლე მომენტი, მაგრამ კვლავ კირალმა იმარჯვა. 77-ე წუთზე სტუმართა თავკაცი ფოლკერ ფინკე რისკზე წავიდა — იაშვილსა და სელიმს მესამე თავდასხმელი ვასმერიც დაამატა, მაგრამ არ გაუმართლა. „ჰერტამ" ანგარიშის შენარჩუნება მოახერხა და ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაც მიითვალა.

— „ჰერტამ" გოლი გაგვიტანა თუ არა, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე დაიწყო ზრუნა. პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მეორე ტაიმში კი გამოვასწორეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბურთის შეგდება ვერ შევძელით. ბევრი მომენტი არ გვქონდა, თუმცა, ვფიქრობ, ფრეს მიღწევა მაინც შეგვეძლო — ასეთი კომენტარი გაუკეთა თამაშს ფოლკერ ფინკემ.

ვანო ოქროპირიძე

ჰოლანდია

თასის გათამაშება

II წრე

ეძალსიორი 0:5 ეინდჰოვენი

0:1 ვან დერ ვერენი (10), 0:2 ვან ნისტელროი (19), 0:3 დირქსი (24), 0:4 ნიკიფოროვი (55), 0:5 ბრუგინკი (90)

III წრის კენჭისყრა

ეინდჰოვენი (II დივიზიონი) — გრონინგენი (II), უტრეხტი — ფეიენოორდი, როდა — აიაქსი, ცვოლე (II) — გოუ ეჰედი (II), ვიტესი — ბრედა, ტვენტე — სიტარდი, ეინდჰოვენი — ალკმაარი, ემენი (II) — კამბური

ინგლისი

თასის გათამაშება

III წრის კენჭისყრა

შეფილდ იუნაიტედი — ნოთს ქაუნთი, საუთჰემპტონი — ფულემი, ტრანმერი — იფსვიჩი, სვინდონი — ბარნსლი, ბლექბერნ როვერსი — ჩარლტონ ატლეტიკი, ნოტინგემ ფორესტი — პორტსმუთი, ბორნმუტი — ვესტ ბრომვიჩ ალბიონი, პლიუმოსი — დერბი ქაუნთი, ლესტერი — ბირმინგემი, ქუინზ პარკი — შაფერსფილდი, ტოტენჰემი — უოტფორდი, რაშდენი ან დიამონდსი — ლიდს იუნაიტედი, ოლდემი — ჩელსი, საუსპორტი — ლიუტონ ორიენტი, უიმბლდონი — მანჩესტერ სიტი, ნიუკასლი — კრისტალ პალასი, ბრედფორდი — გრიმსბი, ბრისტოლ სიტი — ევერტონი, ქრიუ — ოქსფორდი, ბოლტონი — ვულვერჰემპტონი, ქოვენთრი — მესელსფილდი, როტერჰემი — ბრისტოლ როვერსი, ვესტ ჰემ იუნაიტედი — სუონსი, რექსჰემი — სკანტროფი, ასტონ ვილა — ჰალი, ბერი — სტოკპორტი, ლინკოლნი — სანდერლენდი, კარდიფი — იევილი, შეფილდ უენსდეი — ნორვიჩი, მანჩესტერ იუნაიტედი — მიდლსბრო, პორტ ვეილი — ლივერპული, პრესტონი — არსენალი.

მატჩები 2, 3 და 4 იანვარს გაიმართება

არგენტინა

ხიმნასია ლა-პლატა — ლანუსი 1:0

საბოლოო ცხრილი

ბოკა ხუნიორსი	19	13	6	0	45:18	45
ხიმნასია (ლა-პლ)	19	10	6	3	31:23	36
რასინგი	19	9	6	4	39:29	33
ლანუსი	19	8	6	5	20:20	30
კოლონი	19	7	5	7	28:27	26
სან ლორენსო	19	6	7	6	40:35	35
არგ. ხუნიორსი	19	5	10	4	31:27	25
უნიონი	19	6	7	6	32:34	25
ოლდ ბოისი	19	6	7	6	22:21	25
როსარიო	19	6	7	6	26:28	25
ველეს სარსფ.	19	6	6	7	26:26	24
ესტუდიანტესი	19	6	6	7	22:23	24
ტალერესი	19	7	3	9	29:34	24
ხიმნასია (ხუჯუი)	19	4	10	5	31:30	22
რივერ პლეიტი	19	5	7	7	27:27	22
ინდეპენდიენტე	19	4	10	5	26:26	22
ფერო კარილი	19	5	5	9	24:31	20
ურაკანი	19	5	5	9	29:42	20
ბელგრანო	19	4	7	8	22:31	19
პლატენსე	19	3	4	12	21:39	13

უკან სამი წლით

ერიკ გერეტსი, ბელგიის ნაკრების ყოფილი მცველი, მომავალი სამი სეზონის მანძილზე ჰოლანდიური „ეინდჰოვენის" მწვრთნელი იქნება. გუშინ გაფორმებული კონტრაქტი 1999 წლის ივლისში ამოქმედდება.

ის, რომ „ეინდჰოვენი" მწვრთნელ ბობი რობსონს სეზონის ბოლოს უშვებდა, ადრეც იყო ცნობილი. ხმები გერეტსის „ბრიუგედან" წასვლის შესახებ ასევე ადრე გავრცელდა. ყოველივე ამან კი გამოიწვია ის, რომ ეინდჰოვენელთა და გერეტსის სამომავლო ურთიერთობებზე დაიწყეს საუბარი. ჰოლანდიაში სამუშაოდ წასვლის სურვილს ერიკ გერეტსი არ მალავდა. არც კლუბი უარყოფდა ბელგიელის გადაბირების მცდელობას და აი, გუშინ, ოთხშაბათს, მწვრთნელმა და „ეინდჰოვენმა" კონტრაქტი გააფორეს. წარსულში „ეინდჰოვენის" მცველი (გერეტსი ეინდჰოვენელებთან 1985-92 წლებში თამაშობდა) „ფილიპსშტადიონზე" სამი წლით დარჩება.

ბელგიის ჩემპიონატმა ერიკ გერეტსისთვის აზრი დაკარგა. 1997 წელს მისმა „ლიერსმა" პირველობა მოიგო. გასულ სეზონში მწვრთნელმა „ბრიუგე" გახადა ჩემპიონი, ახლაც ამ გუნდით ლიდერობს.

— დროა, სხვაგანაც ვცადოთ ძალა. ჰოლანდია ჩემთვის ახლობელიცაა და შორეულიც. ამბობენ, ბელგიისა და ჰოლანდიის ჩემპიონატები ერთმანეთისგან ძალიან გასხვავდებაო. ამ აზრს ვერაფრით დავეთანხმები. ბელგია და ჰოლანდია მეზობელი ქვეყნებია და თუ მათი პირველობები ერთმანეთს არ ჰგავს, მეც სწორედ ეს მიზიდავს — თქვა 44 წლის მერეტსმა.

ჰოლანდიაში მწვრთნელობის მსურველებს საგანგებო სერთიფიკატი სჭირდებათ, რომელიც ქვეყნის კლუბების თავკაცობის უფლებას იძლევა. ერიკი ამ სერთიფიკატს უკვე ფლობს. იგი სამწვრთნელო განათლებას ჰოლანდიის ქალაქ ცაისტში იღებდა.

სარგბიელის არქივიდან

ლილიან ტურამი: მარსელში სიამოვნებით ვითამაშებდი

მსოფლიოს ჩემპიონი და ამ ტურნირის ერთ-ერთი გმირი, რომელიც შარშან სერია A-ს საუკეთესო მცველად აღიარეს, კვლავაც მშვნივრად ირჯება „პარმაში“. ლილიან ტიურამი დღეისათვის მართლაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი და ფეხბურთელია და ჩვენს მკითხველს, ალბათ, დაინტერესებს მასთან ინტერვიუ.

— ლილიან, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულმა თქვენს ცხოვრებაში რამე თუ შეცვალა?

— ადრინდელთან შედარებით არც უკეთესი გავმხდარვარ და არც უარესი, იგივე დავრჩი, რაც უწინ ვიყავი. სამაგიეროდ გულშემატკივრები უკვე სხვანაირად მიყურებენ. მათ არ დავიწყებიათ ხორვეტიასთან ჩემს მიერ გატანილი ორი გოლი. სხვათა შორის, არც მე.

— რა გრძნობა დაგეუფლათ პირველი გოლის გატანისას?

— გაბრაზება და სიხარული ერთდროულად. მეტოქე ერთი წუთით ადრე დაწინაურდა და სწრაფად უნდა გაგვეთანაბრებინა. როცა ბურთი ხორვატების კარის ბადეში აღმოჩნდა, ვიფიქრე, რომ ეს საკმაებით ნორმალური იყო. თუმცა ვერ მივხვდი, როგორ გავაკეთე ეს. ამაზე დღესაც ვფიქრობ.

— საფრანგეთის ნაკრები ევრო 2000-ის ფინალური ეტაპის საგზურისათვის იბრძვის. რა მომავალი აქვს მას?

— ჩვენი უპირატესობა ჩვენი გამოცდილებაა. „ლურჯების“ მომავალი კი ახალგაზრდა თაობაა, რომელიც საკმაოდ ნიჭიერი და იმედისმომცემია. ფრანგულმა ფეხბურთმა „შავი ჭირის ჭამა“ დაამთავრა. ვფიქრობ, ეს დრო ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

— მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლამდე იტალიის პირველობის საუკეთესო მცველად დაგასახელეს. თვლით თუ არა თქვენს თავს ვარსკვლავად?

— არა, არავითარ შემთხვევაში. დარწმუნებით ვიტყვი, რომ საკმაოდ კარგი ფეხბურთელი ვარ, მაგრამ თავს ვარსკვლავს ვერ დავარქმევ. ყოველ შემთხვევაში, ეს არც მაინტერესებს. ყველაფერი, რაც მინდა, ეს სულ უფრო და უფრო უკეთ თამაშია.

— როგორ ფიქრობთ, კიდევ შეგიძლიათ თქვენი ოსტატობის ამაღლება?

— შეიძლება ბევრად აღარ, მაგრამ უნდა დავხვეწო მაინც რა დონეზეც უნდა ვიყო, თუ პროგრესს შევწყვეტ, ამას მალე აუცილებლად რეგრესი მოჰვება. ეს კი არ მსურს. ვცდილობ, ტაქტიკურადაც წინ წავიდე. ამისთვის კი იტალიის ჩემპიონატი ზედგამოჭრილია. მაგალითად, უკვე შემიძლია სხვადასხვა დაცვით სისტემებს კარგად მოვერგო. ჩემთვის, ფაქტობრივად, სულ ერთია, სამი მცველით ვითამაშებთ თუ ოთხით...

— რა აზრის ხართ დღევანდელ ფეხბურთში მცველის როლზე?

— თანამედროვე ფეხბურთში ყველას უნდა შეძლოს შეტევაც და დაცვაც, ხოლო მცველებს დღითიდღე სულ უფრო მეტის გაკეთება ევალებათ. მათი როლი თანდათან იზრდება. ასეა საფრანგეთის ნაკრებში და ყველა ძლიერ გუნდში, სადაც უკანა ხაზის ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია გოლის გატანა

— რატომ ამჯობინეთ კარიერის „პარმაში“ გაგრძელება?

— იმიტომ, რომ აქ სიწყნარე და სიმშვიდეა...

— იმ გუნდებში თამაშს ხომ არ ერიდებით, სადაც ფეხბურთელები ერთგვარ ბეწოლას განიცდიან?

— არა. მართალია, „ინტერში“, „რეალსა“ და „ბარსელონაში“ თამაშზე თავის დროზე უარი ვთქვი, მაგრამ ეს თქვენს მიერ დასახელებული მიზეზის გამო არ გამიკეთებია. უბრალოდ, ჩემთვის უფრო ძვირფასია „პარმასთან“ ერთად მოპოვებული სკუდეტო ანაც რაიმე სხვა ტიტული, ვიდრე, მაგალითად, „იუვენტუსთან“ ერთად. მართალია, ჯერჯერობით ბევრი არაფერი მოგვიგია, მაგრამ ყველაფერი წინაა. ალბათ, სეზონის ბოლოს რაიმე ტიტულს უეჭველად მოვიხვეჭთ.

— იტალიის დატოვებაზე თუ გიფიქრიათ?

— დღეისათვის პარმაში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და მსურს, კონტრაქტის ბოლომდე იქ დავრჩე. მერე კი, ალბათ, წავალ სხვა ქვეყნების და კულტურების გასაცნობად.

— რომელი ქვეყნის ფეხბურთი გიზიდავთ?

— დიდად მსიამოვნებს ინგლისის პრემიერლიგის მატჩების ყურება. მათი გუნდების სწრაფი თამაში მხიბლავს. იქაური ფეხბურთელებიც თავიანთ საქმეში მთლიანად იხარჯებიან, რაც თავისთავად ძალიან კარგი თვისებაა. გარდა ამისა, მოშწონს ესპანური ლიგაც, სადაც მეტად სანახაობრივი თამაშები იმართება.

— საფრანგეთი?

— უახლოეს მომავალში ჩემი საფრანგეთში დაბრუნება არაა გამორიცხული. მაგალითად, დიდი სიამოვნებით მოვირგებდი მარსელის „ოლიმპიკის“ მაისურს. მარსელი განსაკუთრებული ქალაქია და გუნდით განსაკუთრებული ჰყავს. ფრანგი ფეხბურთელების უმეტესობის ოცნებაა იქ თამაში. თუმცა, ისე არ გამიგოთ, თითქოს უკვე გადაწყვეტილი მქონდეს „პარმასთან“ კონტრაქტის დამთავრების შემდეგ „მარსელში“ გადაბარგება. უბრალოდ, თუ ასეთი წინადადებით მომმართავენ, აუცილებლად კარგად დავფიქრდები...

— ფეხბურთში ყველაზე მეტად რას ვერ ეგუებით?

— ფეხბურთში, ისევე, როგორც საერთოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ფულის როლის გაზრდა მზარავს. ამას ვერ ვიტან, რადგან ფულს შეუძლია ფეხბურთი „მოკლას“.

— დოპინგზე რაღას ფიქრობთ? ეს მითია თუ სინამდვილე?

— დოპინგის სპორტსმენის სიკვდილია, ფიზიკურიც და სულიერიც. ახლა არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ დოპინგს არავინ იღებს, რადგან ეს მტკნარი სიცრუე იქნება. ამასთანავე სასტიკი წინააღმდეგი ვარ, რომ ყველა ფეხბურთელს „დოპინგით გაჭყეპილის“ იარლიყი მიაკერონ, რადგან ასე ნამდვილად არაა.

— თქვენთვის თუ შემოუთავაზებიათ დოპინგი?

— არასოდეს. არც არასოდეს მიმიღია და არც არასოდეს მივიღებ. ამას საკუთარ თავს არ ვკადრებ.

— დაბოლოს, ბედნიერი თუ ხართ?

— კი, ყოველთვის ბედნიერი ვარ, რადგან ხასიათი მაქვს ასეთი. ძალიან მხიარული ვარ და ყოველთვის ვცდილობ, ყველაფერში საუკეთესო რამ დავინახო. ლილიანი სულ ასეთად დარჩება.

მოამზადა ბაბი გურულმა

სარგბიელი

სპორტული ლაბარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XVIII ტური

18 დეკემბერი			
ფრაიბურგი — ბოხუმი	1,7	3,0	4,7
დორტმუნდი — შტუტგარტი	1,6	3,0	5,6
19 დეკემბერი			
ბაიერნი — ვოლფსბურგი	1,3	3,8	8,0
0:1	1,9	3,2	2,6
ჰამბურგი — ნიურნბერგი	1,45	3,4	6,5
0:1	2,1	3,0	2,2
კაიზერსლაუტერნი — მიუნხენ 1860	1,7	3,0	4,7
აინტრახტი — დუისბურგი	1,8	3,0	4,0
ჰანნა — ლევერკუზენი	3,6	2,9	1,9
შალკე — მონხენგლადბახი	1,6	3,0	5,6
20 დეკემბერი			
ვერდერი — ჰერთა	2,4	2,8	2,7

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIX ტური

18 დეკემბერი			
ჰანოვერი — არმინია	3,5	2,8	2,0
მაინცი — ვატენშაიდი	1,5	3,4	5,6
კოტბუსი — ბერლინი	3,5	2,8	2,0
20 დეკემბერი			
ზანქტ პაული — ფიურტი	2,5	2,8	2,6
ულმი — კარლსრუე	1,9	2,9	3,6
უნტერჰახინგი — კიოლნი	1,8	3,0	4,0
ობერჰაუზენი — კიელერი	2,3	2,8	2,9
ფორტუნა — ურდინგენი	1,25	4,7	7,5
0:1	1,8	3,4	2,7
გოუტერსლო — დიუსელდორფი	2,3	2,8	2,9

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XVIII ტური

19 დეკემბერი			
ჩელსი — ტოტენჰემი	1,7	3,0	4,7
ქოვენთრი — დერბი	2,3	2,8	2,9
ლივერპული — შეფილდ უენსდეი	1,5	3,4	5,6
მანჩესტერი — მიდლსბრო	1,5	3,3	6,0
ნიუკასლი — ლესტერი	1,9	2,7	4,0
ნოტინგემი — ბლეკბერნი	2,0	2,8	3,5
საუთჰემპტონი — უიმბლდონი	2,3	2,9	2,8
ვესტ ჰემი — ევერტონი	1,6	3,0	5,6
20 დეკემბერი			
არსენალი — ლიდსი	1,9	2,8	3,8
21 დეკემბერი			
ჩარლტონი — ასტონ ვილა	3,5	2,8	2,0

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXIV ტური

19 დეკემბერი			
ბარნსლი — სვინდონი	1,6	3,0	5,6
ბირმინგემი — სანდერლენდი	2,4	2,8	2,7
ბოლტონი — პორტსმუთი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
ბრედფორდი — კულჩერჰემპტონი	1,8	2,8	4,4
ქრიუ — ჰადერსფილდი	3,2	2,9	2,1
კრისტალ პალასი — ქუინზ პარკი	1,7	3,0	4,7
გრიმსბი — უოტფორდი	2,3	2,8	2,9
ნორვიჩი — ბრისტოლი	1,8	4,0	7,5
0:1	1,9	3,2	2,6
პორტ ვეილი — ბერი	2,2	2,8	3,1
სტოკპორტი — ოქსფორდი	1,6	3,2	5,0
ვესტ ბრომეიჩი — ტრანმერი	1,5	3,0	5,6
20 დეკემბერი			
შეფილდ იუნაიტედი — იფსვიჩი	2,4	2,8	2,7

საფრანგეთის ჩემპიონატი. XX ტური

19-20 დეკემბერი			
ბასტია — ოსერი	1,9	2,8	3,8
ბორდო — მეცი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,2	2,6
მონაკო — ლიონი	1,9	2,8	3,8
ლორიანი — პსჟ	3,1	2,8	2,2
ნანსი — ლანსი	2,4	2,8	2,7
მარსელი — ლე ავრი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
სტრასბური — რენი	2,3	2,8	2,9
სოშო — ნანტი	2,5	2,9	2,5
ტულუზი — მონპელიე	2,3	2,9	2,8

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIV ტური

20 დეკემბერი			
კალიარი — ბოლონია	2,0	2,8	3,5
ემპოლი — პარმა	3,1	2,8	2,2
ინტერი — რომა	1,9	2,8	3,8
იუვენტუსი — სალერნიტანა	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ლაციო — უდინეზე	1,5	3,2	6,5
პერუჯა — ფიორენტინა	3,3	2,8	2,1
პიაჩენცა — ბარი	2,0	2,8	3,5
სამპდორია — მილანი	2,5	2,9	2,5
ვიჩენცა — ვენეცია	1,7	3,0	4,7

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XV ტური

19 დეკემბერი			
ვერონა — კიეგო	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,2	2,6
20 დეკემბერი			
ბრეშა — მონცა	1,7	2,7	5,6
ჩეზენა — ტორინო	4,4	2,8	1,8
კრემონეზე — პესკარა	2,4	2,8	2,7
ფ. ანდრია — ჯენოა	2,9	2,8	2,3
ლეჩე — ნაპოლი	2,3	3,1	2,5
ლუკეზე — რავენა	2,6	2,7	2,6
რეჯანა — ატალანტა	2,3	2,8	2,9
რეჯინა — კოზენცა	1,5	3,0	7,5
ტრევიზო — ტერნანა	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XV ტური

19-20 დეკემბერი			
ვალადოლიდი — ბარსელონა	2,8	2,9	2,3
ვილიარეალი — ბილბაო	2,4	2,8	2,7
დეპორტივო — ბეტისი	1,6	3,0	5,6
ატლეტიკო — სარაგოსა	1,5	3,1	7,0
მალიორკა — რასინგი	1,3	3,8	8,0
0:1	1,9	3,2	2,6
ტენერიფე — ესტრემადურა	1,5	3,4	5,6
ოვიედო — რეალი	3,1	2,8	2,2
სოსიედადი — სელტა	2,4	2,7	2,8
ესპანიოლი — ვალენსია	2,6	2,9	2,4
ალავესი — სალამანკა	1,9	2,9	3,6

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XVII ტური

19-20 დეკემბერი			
ბარსელონა B — ალბასეტე	2,3	2,8	2,9
ერკულესი — ტოლედო	3,0	2,9	2,2
ოსასუნა — ეიბარი	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8
ბადაზოსი — სპორტინგი	2,0	2,9	3,4
ლეგანესი — ლას პალმასი	3,1	2,8	2,2
მერიდა — მალიორკა B	1,9	2,9	3,6
რეკრეატივო — ატლეტიკო B	2,1	2,8	3,3
ორენსე — რაიო ვალეკანო	3,5	2,8	2,0
სევილია — ლოგრონიესი	1,5	3,1	7,0
კომპოსტელა — ლეიდა	1,8	2,9	4,2
მალაგა — ნუმანსია	2,4	2,8	2,7

პორტუგალიის ჩემპიონატი. XVI ტური

18-20 დეკემბერი			
სეტუბალი — შავეში	1,6	3,0	5,6
ბენფიკა — აკადემიკა	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,6
პორტუ — სპორტინგი	1,7	3,0	4,7
ბრაგა — ამადორა	2,4	2,8	2,7
სალგეირუში — რიუ ავე	1,6	3,0	5,6
ლეირია — ბეირა მარი	1,5	3,1	7,0
ბოავიშტა — ფარენსე	1,3	3,8	8,0
0:1	1,9	3,2	2,6
კამპომაიორენსე — გიმარაეში	2,4	2,8	2,7
ალკერკა — მარიტიმუ	2,0	2,8	3,5

ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური

18 დეკემბერი			
ჰერენვენი — მაასტრიხტი	1,35	4,0	6,5
0:1	2,0	3,2	2,4
ნიმეგენი — სიტარდი	1,4	3,6	6,5
0:1	2,0	3,2	2,3
19 დეკემბერი			
ეინდჰოვენი — ტილბურგი	1,5	3,2	6,5
ტვენტე — ვიტესი	2,4	2,8	2,7
20 დეკემბერი			
ფეენოორდი — აიაქსი	2,0	2,9	3,4
ვალვაიკი — ბრედა	2,7	3,0	2,3
უტრეხტი — სპარტა	1,6	3,0	5,6

ბელგიის ჩემპიონატი. XIX ტური

19 დეკემბერი			
ოსტენდე — გენტი	3,1	2,8	2,2
ლიერსი — გენკი	3,3	3,0	2,0
ლოკერენი — კორტ რაიკი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ანდერლეხტი — ბეევერენი	1,3	4,2	7,0
0:1	1,9	3,3	2,5
ლომელი — მუსკრონი	3,0	2,9	2,2
სენტ ტრუიდენი — ვესტერლო	1,8	2,9	4,2
20 დეკემბერი			
ეკერენი — ბრიუგე	5,0	3,2	1,6
აალსტი — სტანდარდი	3,1	2,8	2,2
ჰარლებეკი — შარლეროა	1,8	2,9	4,2

თურქეთის ჩემპიონატი. XVII ტური

18 დეკემბერი			
ბურსასფორი — სამსუნსფორი	1,5	3,3	6,0
19 დეკემბერი			
ანთალია — ტრაბზონსფორი	2,5	2,9	2,5
20 დეკემბერი			
ერზრუმი — ფენერბაჰჩე (14:30)	6,0	3,3	1,5
ალთაი — ჭარბუკი (16:00)	1,5	3,4	5,6
ანკარაგიუჯუ — საქარია (16:00)	1,5	3,4	5,6
ისთანბული — გენჩლერბირლიგი (16:00)	1,9	2,8	3,8
ქოჯაელი — ადანა (16:00)	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8
გაზიანთეპსფორი — გალათასარაი	6,0	3,3	1,5
ბეშიქთაში — დარდანელი	1,15	5,6	10,0
0:1	1,4	4,0	3,6

შოტლანდიის ჩემპიონატი. XIX ტური

19 დეკემბერი			
სელტიკი — დანფერმლინი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
დანდი — აბერდინი	1,8	2,9	4,2
ჰართსი — რეინჯერსი	3,5	2,8	2,0
კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
მოზერველი — სენტ ჯონსტონი	2,4	2,8	2,7

აშშ. NHL

18 დეკემბერი			
ბუფალო — მონრეალი	1,3	4,4	4,0
ოტავა — კაროლინა	1,8	4,4	2,2
ნიუ ჯერსი — კალგარი	1,2	4,4	5,0
ტამპა ბეი — ედმონტონი	2,1	4,4	1,9
დეტროიტი — დალასი	1,9	4,4	2,1
ანაჰაიმი — აილენდერსი	1,6	4,4	2,7
19 დეკემბერი			
ბოსტონი — დეტროიტი	2,0	4,4	2,0
ბუფალო — კაროლინა	1,4	4,4	3,4
ტორონტო — რეინჯერსი	1,8	4,4	2,2
მონრეალი — ნიუ ჯერსი	2,4	4,4	1,7
ფილადელფია — ჩიკაგო	1,3	4,4	4,0
პიტსბურგი — ვაშინგტონი	1,3	4,4	4,0
ფლორიდა — ედმონტონი	1,9	4,4	2,1
სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი	1,4	4,4	3,4
ვანკუვერი — ნეშვილი	1,7	4,4	2,4
სან ხოსე — კოლორადო	2,4	4,4	1,7
20 დეკემბერი			
ოტავა — დალასი	2,2	4,4	1,8
ფილადელფია — ტამპა ბეი	1,15	4,4	5,6
ჩიკაგო — ლოს ანჯელესი	1,7	4,4	2,4
ფინიქსი — აილენდერსი	1,15	4,4	5,6
21 დეკემბერი			
ბოსტონი — ტამპა ბეი	1,2	4,4	5,0
ტორონტო — პიტსბურგი	2,0	4,4	2,0
მონრეალი — დალასი	2,4	4,4	1,7
კაროლინა — ბუფალო	2,1	4,4	1,9
ანაჰაიმი — კოლორადო	2,0	4,4	2,0

ტურში გატანილი გოლები

გერმანია (მე-18)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9	ესპანეთი (მე-15)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
ინგლისი (მე-18)	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9	პორტუგალია (მე-16)	22 და ნაკლები	1,9	24 და მეტი	1,9
საფრანგეთი (მე-20)	22 და ნაკლები	1,9	24 და მეტი	1,9	ბელგია (მე-19)	26 და ნაკლები	1,9	28 და მეტი	1,9
იტალია (მე-14)	23 და ნაკლები	1,9	25 და მეტი	1,9	თურქეთი (მე-17)	24 და ნაკლები	1,9	26 და მეტი	1,9

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ქართველები საბჭოთა ნაკრებში

მურთაზ ხურცილავა

დიდი კაცი

1977 წლის 15 მარტი. დიდოსტატი ეთხოვება მწვანე მინდორს

სარგბილის არქივიდან

მე არ მახსოვს მურთაზ ხურცილავას ფეხბურთი. მიყურებია კი, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ტელევიზორში და ტელევიზორში ნანახით ფეხბურთელზე წარმოდგენას ვერ შეიქმნი.

ჩემს მეხსიერებას მურთაზ ხურცილავას ფეხბურთიდან საზეიმო გაცილება შემორჩა ბუნდოვნად — ითამაშეს „დინამომ“ და სსრკ ნაკრებმა, მერე სხვა ფეხბურთელებმა ხურცილავა მხრებზე შეისვეს და ტრადიციულად გაიყვანეს მოედნიდან.

ეს არის და ეს. მინდორზე სხვაგვარი მურთაზ ხურცილავა მე არ მახსოვს. შესაბამისად არც მისი ფეხბურთი დამამახსოვრდა. ფეხბურთი, რომელსაც მილიონები უკრავდნენ ტაშს და რომელიც მილიონებს ხიბლავდა. ამიტომ იყო, ბევრიც არ მიფიქრია სათაურზე, მურთაზ ხურცილავა — დიდი კაცი — აი, სათაური. ამ სათაურით ბევრი რამაა ნათქვამი. ასეთ სათაურს ყველა წერილს ვერ დაარქმევ, მაგრამ მურთაზ ხურცილავა ის ფეხბურთელი იყო, რომლისთვისაც ასეთი და მსგავსი ეპითეტები ალალია.

ახლა რომ მოვყვე და ის გამონათქვამები ვწერო, რომლებიც მსოფლიო ფეხბურთის კორიფეებს გამოუთქვამთ ხურცილავას შესახებ, ამას მთელი ეს წერილი არ ეყოფა და მკითველს რა ხეირი ამით... მკითხველმა ხომ კორიფეთა გამონათქვამების შესახებ აქამდეც იცოდა. და მაინც, სერ ალფ რამსეის სიტყვებს მოვიყვან — მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელები პელე და ხურცილავაო, რომ თქვა.

როგორ გგონიათ, ცოტაა?

მე არცერთი სიტყვით არ შევეხები მურთაზ ხურცილავას ფეხბურთისშემდგომ მოღვაწეობას, ამ წერილის მიზანი და მისია მურთაზ ხურცილავა — დიდი ფეხბურთელის მორიგი წარდგენაა და სხვა — მწვრთნელობა, დეპუტატობა, ვეტერანობა არ არის ამ წერილის მიზანი. არა და ნუ, რა მურთაზ ხურცილავა-ფეხბურთელზე ცოტაა სალაპარაკო?!

დავიწყოთ იმით, რომ ქართველ ქომაგებში მოარული ლეგენდა — თითქოს ცხონებულ ანდრო ჟორდანიას სადღაც შემთხვევით ენახოს ხურცილავა და მერე მიეწვიოს „დინამოში“, არ არის მთლად მართალი. კი, რასაკვირველია ხურცილავას ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში უდიდესი და უმთავრესი როლი ანდრო ჟორდანიამ შეასრულა, მაგრამ თუ მაინცდამაინც აღმოჩენაზე მიდგა საქმე, ნურც თავად ფეხბურთელის ღვაწლს დავამცრობთ — ხურცილავა აღმოაჩინეს იმიტომ, რომ იგი... არსებობდა. არსებობდა და სანამ „დინამოში“ აიყვანდნენ, იყო 1959 წლის მოსკოვის საკავშირო სპარტაკიადის მესამე პრიზიორი, შემდეგ სსრკ ნორჩ ფეხბურთელთა ნაკრების წევრი, 1961 წელს კი მინსკის საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის მედალოსანი.

მურთაზ ხურცილავა თავისი აგებულებით მოჭიდავეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ფეხბურთელს. თვითონაც უთქვამს ამის შესახებ — არ არსებობს საფეხბურთო ნორმატივი, რომელიც მე შემესრულებინოსო. ანდრო ჟორდანია — სელექციონერის სიდიადეც იმაშია სწორედ, რომ „მოჭიდავეს“ დიდი საფეხბურთო მომავალი უწინასწარმეტყველა და სწორადაც.

ბრძოლა — აი, ის სიტყვა, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს ხურცილავას გარჯას მინდორზე. იგი იბრძოდა ნებისმიერ ალაგას, მინდვრის ნებისმიერ მონაკვეთზე და რა გასაკვირია, რომ აგრე ეადვილებოდა მეტოქე თავდამსხმელების წინააღმდეგ პერსონალური თამაში. როცა მცველს ძალა ერჩის, ალღოს არ უჩივის და ბუნებამ ტექნიკაც დამადლა, მისი მეურვეობის ქვეშ თამაში ვისაც გინდა გაუჭირდება. ხურცილავასთან თამაშიც ამიტომ უჭირდათ სტრელცოვს, ბიშოვეცს, ლოუს, მაცოლას, ფარკაშს, ვარგას, ლიუბანსკის, მიულერს, ჰერსტს, ტოსტაოს, ჟაირზინიოს, კინოს, ტორესს, თვით პელესაც.

რას იტყვით, როგორი ჩამონათვალია, ამათ წინააღმდეგ რომ კაცი პერსონალურად (და საერთოდ) ითამაშებს, არის თუ არა დიდი?

ხურცილავა-ფეხბურთელზე როცა გვიხდება ლაპარაკი, არ შეიძლება მის ერთ თავისებურებას არ გავუსვათ ხაზი — სხვა იყო ხურცილავა-დინამოელი და სხვა — ხურცილავა-სსრკ ნაკრების წევრი.

ხურცილავა სსრკ ნაკრებში მცველი იყო, ალბერტ შესტერნიოვის დიდებული მეწყვილე, „პერსონალშჩიკი“, რომელიც, რა თქმა უნდა, ეხმარებოდა ნახევარმცველებს, თავდასხმას, აქა-იქ გოლებიც გაჰქონდა, მაგრამ პირველ ყოვლისა მცველი იყო, კლასიკური სტოპერი, რომლის უმთავრესი მოვალეობაც ნაკრების კარის მისადგომების გამაგრება და ლოუს, მაცოლას, მიულერის, პელეს წინააღმდეგ პერსონალური თამაში იყო.

სულ სხვა გახლდათ ხურცილავა „დინამოში“. მის მონაყოლს რომ ვიხსენებ, მარკ ტვენის ერთი ცნობილი მოთხრობა მახსენდება ხოლმე. სწორედაც რომ ტომ კენტისეული კრძალვითა და შიშით მისულა ხურცილავა „დინამოს“ ბაზაზე და ცოტა ხანში იმგვარად შეიფერა დინამოელობა, როგორც პატარა გარეუბნელმა ინგლისის მეფისწულობა — ჟორდანიასთან რომ ვსაუბრობდი, მეგონა ღმერთთან ვსაუბრობდიო — იტყვის მოგვიანებით მურთაზ ხურცილავა და მიუხედავად ამ კრძალვისა და რიდისა, მან შეძლო დაეძლია ახალბედას შიში, მორგებოდა გუნდს და მოგვიანებით, ორიოდე წლის შემდეგ მის ლიდერადაც ჩამოყალიბებულიყო.

ლიდერი ფეხბურთში ნებისმიერი ამპლუის მოთამაშე შეიძლება გახდეს, ოღონდ ისეთი მოთამაშე, რომელიც არ იფარგლება მხოლოდ თავისი ამპლუით. მცველმა შეტევა უნდა შეიძლოს, თავდამსხმელმა დაცვა, ნახევარმცველმა — ერთიც და მეორეც. მურთაზ ხურცილავამ შეძლო ეს — მცველადაც ივარგა, ლიდერადაც, იკაპიტნა კიდეც და კარიერის განმავლობაში ნახევარცმველად და თავდამსხმელადაც გაირჯა. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ცნობილი ფაქტი: 1967 წლის 16 ნოემბერს თბილისის „დინამომ“ 5:1 მოუგო მოსკოველ თანგუნდელებს და ამ არატრადიციული ანგარიშით მოგებაში ლომის წილი დაიდო მარჯვენა გარეშარბად (!) მოთამაშე მურთაზ ხურცილავამ.

„მთვლემარე დათვი“, „ავაზა“, „რკინის მცველი“, „ფეხბურთის ჯენტლმენი“, „არაჩვეულებრივი მცველი“, „ბუმბერაზი და ეტალონი“ — აი, არასრული ჩამონათვალი იმ ეპითეტებისა, რომელიც მურთაზ ხურცილავას უძღვნეს მასმედიისა და ფეხბურთის წარმომადგენლებმა. საქმე ისე მიდიოდა, ლამის ყოველი კონკრეტული მატჩის შემდეგ ახალ-ახალი დითირამბით ამკობდნენ ხოლმე „დინამოს“ და ნაკრების კაპიტანს.

ნათქვამია, ცხოვრებაში კარგზე მეტად ცუდი ამახსოვრდებაო ადამიანს. უამრავი გამარჯვებისა და საყოველთაო აღიარების მიუხედავად, ინგლისში პორტუგალიის ნაკრებთან ნაბევარფინალური მატჩი ალბათ არასოდეს დაავიწყდება ხურცილავას. მით უმეტეს, ამ შეხვედრას ცოტა არ იყოს, ფატალურობაც სდევდა თან. საქმე იმაშია, რომ მატჩის წინა დამეს ხურცილავას დაესიზმრა, თითქოს ხელით ითამაშა საკარიერო [illegible] მურთაზ [illegible] ბურთი [illegible] ერთ-ერთ მოთამაშეს ხურცილავა გიგანტ ტორესს აუწტა, რათა თავით თამაშში ეჯობნა, მაგრამ ბურთი ხელზე მოხვდა და მსაჯმაც პენალტი დადო...

ფატალური იყო ის, რომ ხურცილავა საჰაერო ბურთზე, როგორც წესი, ხელებაწეული ხტებოდა, ფატალური იყო ის სიზმარიც და ყოველივე რომ შეხვედრის მე-13 წუთზე მოხდა, ისიც ფატალური იყო. ამის შემდეგ მურთაზი ყველას მაგივრად იბრძოდა მინდორზე (ხუთი კაცის დატვირთითო — იტყვის მატჩის მერე ვლადიმერ პონომარიოვი), მაგრამ ინგლისელი მსაჯის მეორ დანიშნულმა თერმომეტმეტრიანმა თავისი დაღი დასვა მთელ შეხვედრას და პორტუგალიელებმა მესამე ადგილი აიცალეს საბჭოელებს.

ზემოთ ხურცილავას ლიდერობაზე ვთქვით. ლიდერი რომ გახდეს, ფეხბურთელს პიროვნული თვისებებიც უნდა უწყობდეს ხელს. ის ფაქტი, რომ შესტერნიოვის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ კაპიტნის სამკლაური მურთაზ ხურცილავას გადაეცა, თავისთავად მეტყველებს მის უდავო ავტორიტეტზე სსრკ ნაკრებში. ხურცილავა — დადებითი პიროვნების შესახებ ყველაზე კარგად მისი განუყრელი და უკომპრომისო მეტოქის — ედუარდ სტრელცოვის კომენტარი მეტყველებს — მურთაზი იყო საიმედო მცველი და კარგი მეგობარი სსრკ ნაკრებშიც და საკუთარ კლუბშიც. ის არასდროს არ უხეშობდა, მიხდებოდა ხშირი იმპროვიზირება, რომ მომეტყუებინა ასეთი ჭკვიანი მცველი. ის დარჩა ჩემს მეგობრად ახლაც, როდესაც ჩვენ ერთად გამოვდივართ ვეტერანთა ნაკრებში.

— ის არასდროს არ უხეშობდა„ მეტოქეს არ ურტყამდა ფეხებში უკნიდან და ქურდულად, ხვდებოდა მას პირისპირ, იწვევდა ვაჟკაცურ ორთაბრძოლაში. ჩვენ ვმეგობრობდით მრავალი წელი და ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება მანამ, სანამ ვიქნებით ამ ცოდვილ მიწაზე.

ეს სიტყვები კი ვიქტორ პონედელნიკს ეკუთვნის, საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთ კაშკაშა ვარსკვლავს.

ხურცილავას ძალუმი მანერა და ფიგურა პატივისცემას აღძრავდა მეტოქეთა შორისაც. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მურთაზ ხურცილავა ბოლომდე იხარჯებოდა მინდორზე. მის კარიერაში არ ყოფილა მატჩი არც ნაკრების, არც კლუბის დონეზე, რომელშიც მიედოს მონაწილეობა და არ ეთამაშოს ძალების ბოლომდე დახარჯვით. ამას აღნიშნავდნენ კიდეც ირგვლივ მყოფნი და სათანადოდაც აფასებდნენ — ძალიან მომწონდა შესანიშნავი მცველი ხურცილავა. ყოველი შეხვედრის შემდეგ იგი უმალვლეს შეფასებას იმსახურებდა. ერთი სიტყვით, მურთაზ ხურცილავა დიდი ფეხბურთელი იყო — ეს გამონათქვამი პრაღის „ბოჰემიანსის“ უფროსი მწვრთნელის, ტომაშში პოსპიხალისაა.

ხურცილავას აღმავალი კარიერა პრიზებისა და ჯილდოების სინაკლულეს ვერ დაიბრალებს, თუმცა ხდებოდა ხოლმე, რომ ფეხბურთელს კუთვნილ ტროფეის არ ანიჭებდნენ და თუ ანიჭებდნენ, ესეც საკამათო და სავაგლახო ხდებოდა. როგორ შეიძლებოდა მურთაზ ხურცილავას ინგლისის 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მცირე ბრინჯაო არ რგებოდა — არადა, ლამის, უმეძლოდ დატოვეს ქართველი ფეხბურთელები და მედალი კი კინაღამ პარკუიანს მიაკუთვნეს. თუმცა ჩემპიონატის შემდეგ სამართალმა პური ჭამა...

როგორ შეიძლებოდა მურთაზ ხურცილავას 1964 წლის ჩემპიონობა არ რგებოდა, მაშინ ხომ ხურცილავა უკვე ითვლებოდა „დინამოს“ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად. საბჭოური ფეხბურთის ჩინოსნებმა კი ნათამაშევი მატჩების რაოდენობა „დაუწუნეს“ ახალგაზრდა „დინამოელს“. ასე დარჩა მურთაზ ხურცილავა სსრკ ჩემპიონად წოდების გარეშე.

თუმცა არც მარტო ჯილდოებშია საქმე. რამდენი დიდი ფეხბურთელი წასულა სარბიელიდან ისე, რომ საფეხბურთო ოცნება ვერ აუსრულებია, მაგრამ კვალი და სახელი კი დაუტოვებია... თანაც როგორი.

მურთაზ ხურცილავა ვერ გახდა მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონი, არც სსრკ პირველობის ოქროს მედალი რგებია მას, მაგრამ დიდი ფეხბურთელს აშშვენებს მხოლოდ ჯილდოები, ჯილდოებით ფეხბურთელის სიდიადე არ განისაზღვრება.

ქართული ფეხბურთის ისტორიაში მურთაზ ხურცილავა დარჩა დიდ ფეხბურთელად. მე თუ მკითხავთ, უდიდესადაც კი...

კონსტანტინე გოგიშვილი

სარგბილის არქივიდან

თბილისი 1966 წელი. მურთაზ ხურცილავა მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე ვლადიმერ მასლაჩენკოსთან ბრძოლაში

ოლიმპიზმი

ლიტვის ეოკ-ის მედლები — საქართველოს ეოკ-ის წარმომადგენლებს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტის, ახლა კი საპატიო პრეზიდენტის ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის უთვალავ მედლებს, თასებს, ორდენებსა და სხვა ჯილდოებს კიდევ ერთი შეემატა — ლიტვის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიურ მოძრაობაში და ორი ქვეყნის სპორტულ და ოლიმპიურ საქმიანობაში შეტანილი დიდი წვლილისთვის თავისი საპატიო ოქროს მედლით დააჯილდოვა. იმავე მედლით დაჯილდოვდნენ სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომლებიც ვილნიუსში ლიტვის ეოკ-ის ხელახალი დაფუძნების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებზე იყვნენ მიწვეულნი.

ლიტვის ეოკ-ი ჯერ კიდევ 1924 წელს დაფუძნდა და მანამ ამ მშვენიერ ქვეყანას წითლები შეესეოდნენ და გაასაბჭოებდნენ, ლიტველები დამოუკიდებელი გუნდით პარიზისა (1924წ) და ამსტერდამის (1928) ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდნენ; 1940 წლიდან კი დამოუკიდებლობასაც გამოეთხოვნენ და, რაღა თქმა უნდა, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსაც.

1952 — 1988 წლებში ლიტველები, ისევე როგორც ჩვენ, ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში გამოდიოდნენ.

იქ მათ 18 ოლიმპიური ოქროს, 17 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

1988 წელს ლიტვაში კვლავ შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც სოკ-მა ხელმეორედ აღიარა 1992 წელს და მას მერე ლიტველები ძველებურად დამოუკიდებელი გუნდებით გამოდიან „მწვანე“ და „თეთრ“ ოლიმპიურ თამაშებზე.

— რა თქმა უნდა, ლიტვის ეოკ-ის ხელახალი დაფუძნების 10 წლისთავი მნიშვნელოვანი თარიღი იყო ამ ქვეყნის ოლიმპიურ მოძრაობაში და მათაც ღირსეულად აღნიშნეს ეს იუბილე, — გვიამბობს ნონა გაფრინდაშვილი. — თუმცა მათ მაინც შეზღუდული რაოდენობით პერსონალურად მიიწვიეს სტუმრები. მათ შორის იყვნენ ლატვიის, ესტონეთის, ბელარუსიის, რუსეთისა და პოლონეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლები. სასიამოვნოა, რომ ამ შეზღუდულ კამპანიში ჩვენც მოვხვდით. ჩემთვის განსაკუთრებით დიდი სიურპრიზი იყო ის, რომ ლიტველებს არა თუ დავავიწყდი, არამედ მედლითაც დამაჯილდოვეს, თუმცა საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტი აღარ ვარ. ჩემი, ბატონ ჯანოსა და ემზარის დაჯილდოება ლიტველთა მიერ ჩვენი ქვეყნის ეოკ-ის დიდი აღიარება და პატივია. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ქვეყნების ეოკ-ებს შორის განსაკუთრებული, მეგობრული და საქმიანი თანამშრომლობაა, რაც ხელშეკრულებით არის განმტკიცებული.

ლიტვის ეოკ-ის პრეზიდენტმა არტურას პავილიუნასმა ჯანო ბაგრატიონი, ნონა გაფრინდაშვილი და ამ სურათის გადამღები ემზარ ზენაიშვილი მედლებით დაგვიჯილდოვა, მაგრამ არც სტუმრები ჩასულან ვილნიუსს ხელცარიელნი.

— თქვენს გარდა ბევრი დააჯილდოვეს ამ მედლებით?

— პირადად ჩემი მედალი 58-ე ნომრადაა რეგისტრირებული, სულ კი ამ იუბილისთვის 100 დაუმზადებიათ. როგორც მასპინძლებმა მითხრეს, ამ მედლით აღარავის დააჯილდოვებენ. ალბათ 10-წლიან იუბილეს დღეებში დაჯილდოების გულისხმობენ, თორემ არა მგონია, დარჩენილი მედლები შეინახონ, ალბათ, დროთა განმავლობაში სხვა თავგამოჩენილებსაც მიაგებენ ამგვარ პატივს.

ამ მედლების გარდა [illegible] ლიტვის ეოკ-ის ორდენებიც, რომლებითაც დააჯილდოვეს ოლიმპიურ მოძრაობაში განსაკუთრებული წვლილის შემტანი სპორტული, საზოგადო თუ პოლიტიკური სფეროების წარმომადგენლები, მათ შორის სამი ოლიმპიური ჩემპიონი.

სხვათა შორის, თითოეული ორდენის ღირებულება 3000-3000 ამერიკული დოლარია, მაგრამ უფრო დიდია ის პატივი, რომელიც ლიტველებმა მათ მფლობელებს მიაგეს.

— გაისად საქართველოს ეოკ-იც აღნიშნავს თავისი არსებობის 10-წლიან თარიღს წინამავალი კაცი უკანას ხიდიაო და, ამდენად, საინტერესოა ის გამოცდილება და შთაბეჭდილებები, რომლებიც ლიტვაში მიიღეთ.

— ლიტველებმა მართლაც ღირსეულად აღნიშნეს ეს თარიღი. თბილი მიღება მოეწყო სპორტის სახლში, სადაც ექსპონირებული იყო სპორტული და ოლიმპიური ფილატელია, მოეწყო ფოტოგამოფენა. მთავარი ღონისძიება ჩატარდა ფილარმონიაში. მას თავიანთი მობრძანებით პატივი დასდეს ლიტვის პრეზიდენტმა. სეიმის თავმჯდომარემ, სხვა პოლიტიკურმა, სპორტულმა და საზოგადო მოღვაწეებმა. შემდეგ გაიმართა შესანიშნავი კონცერტი.

ცხადია, იყო საიუბილეო ბანკეტიც.

მასპინძლებმა სპეციალურად ამ იუბილისთვის შექმნეს ნახევარსაათიანი, სამგანყოფილებიანი ფილმი, რომელშიც მოთხრობილია ლიტვის სპორტული და ოლიმპიურ ისტორიაზე; გამოსცეს ალბომები, ბუკლეტები, ბროშურები...

ლიტვის ეოკ-ის ჟურნალმაც, ცხადია, ფართოდ გააშუქა ეს საიუბილეო დღეები.

ავთანდილ ჭყვიშელი

ჰოკეი

ყველა ნასული დაბოლმილია

15 დეკემბერი

დალასი — სენტ ლუისი 7:3

3:2 3:1 1:0

1:0 მარშალი 3'49 (7); 2:0 ვერბიკი 10'12 (6); 2:1 ისტვუდი 14'15 (4); 2:2 იეიკი 14'49 (2); 3:2 ჰალი 19'18 (7); 3:3 რომი 25'07 (2); 4:3 სკრუდლანდი 27'46 (3); 5:3 ნუინდაიკი 37'11 (7); 6:3 ჰალი 37'56 (8); 7:3 ნუინდაიკი 49'47 (8)

შურისძიებაც ასეთი უნდა! თითქმის მთელი კარიერის მანძილზე სენტ ლუისში მოთამაშე ბრეტ ჰალს „ბლუზმენთა“ ქომაგებმა სეზონის წინ დალასში გადასვლა არ აპატიეს. ახლახან, დალასი სენტ ლუისს რომ ესტუმრა და დიქტორმა ტრავმირებული ჰალის არყოფნის შესახებ გამოაცხადა, მაყურებლებმა სტვენა და ერთი ამბავი ატეხეს. 90-იანი წლების ერთ-ერთმა საუკეთესო სნაიპერმა ეს არ დაივიწყა და სამშაბათს, როცა სენტ ლუისი ტეხასში ჩავიდა, ორი გოლი გაუტანა სტუმრებს. საგანგებოდ ამ თამაშისთვის გამოჯანმრთელებულმა „ოქროს ბიჭმა“ პირველი პერიოდის მიწურულს გატანილი შაიბით თავისიანები დააწინაურა, ხოლო მეორეთი მასპინძელთა უპირატესობა განამტკიცა. „წუხანდელი ღამე საშინლად გავატარე, მაგრამ ყინულზე გასვლამდე შევძელი ნერვების მოთოკვა და მოხარული ვარ, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა“ — თქვა მატჩის შემდეგ გახარებულმა ბრეტმა, რომელიც 562 გოლით ნჰლ-ის ბომბარდირთა სიაში მე-13 ადგილზე აღზევდა და ლეგენდარულ გი ლეფლერს გაუსწრო. სენტ ლუისს წამყვანი გამთამაშებელი პიერ ტარჯონი აკლდა, რომელიც ორშაბათს მძიმედ დაშავდა და დაახლოებით თვენახევრით გამოეთიშა ჩემპიონატს.



REUTERS

ტამპელმა კრის გრეიტონმა პიტსბურგელი ახალბედა იან ჰრბინა (38) დაიბრიყვა

კაროლინა — ედმონტონი 3:0

1:0 1:0 1:0

1:0 უესლი 7'10 (1); 2:0 რობერტსი 36'53 (5); 3:0 ონეილი 51'57 (8)

არტურს ირბემ ზედიზედ მეორე შატაუტი მიითვალა. დეტროიტთან ჩინებული თამაში — ლატვიელმა მეკარემ 29 დარტყმა მოიგერია. მცველმა გლენ უესლიმ ლიგაში მე-100 გოლი გაიტანა, ხოლო „ქარიშხლები“ ბოლო 9 მატჩში 6 მოგების შემდეგ ერთპიროვნულად გაუძღვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონს.

სან ხოსე — აილენდერსი 0:1

0:0 0:1 0:0

0:1 უოტი 30'58 (4)

თუ საქმე ასე წავა, ყოველდღე მეკარეთა ოსტატობაზე მოგვიწევს წერა. თუმცა აილენდერსელ ტომი სალოს სეზონში მეხუთე „მშრალი“ მატჩისთვის (ამდენივე მხოლოდ დომინიკ ჰაშეკს აქვს) მხოლოდ 13 დარტყმის მოგერიება დასჭირდა, თანაც ბოლო პერიოდში მასპინძლებმა ერთადერთხელ შეაწუხეს შვედი.

პიტსბურგი — ტამპა 3:2

1:0 1:1 0:1 1:0

1:0 მოროზოვი 17'54 (5); 2:0 ლანგი 23'43 (7); 2:1 ჯენი 39'10 (3); 2:2 კლარკი 57'37 (14); 3:2 ჰეჩერი 63'17 (5)

კევინ კონსტანტინს, პიტსბურგის მწვრთნელს, საწუწუნო არაფერი აქვს. გუნდში მრავლად თავმოყრილი რუსები და ჩეხები თავიანთ საქმეს ოსტატურად აკეთებენ. „პინგვინებს“ სეზონში პირველი საოვერტაიმო გამარჯვებაც ალექსეი კოვალიოვმა და გერმან ტიტოვმა (2 პასი) მოუტანეს, რომელთა კომბინაციის შემდეგ კევინ ჰეჩერს შაიბის ცარიელ კარში გაგზავნაღა მოუხდა.

ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა რობ ბლეიკმა ქრონიკული ტრავმების გამო სრულფასოვნად მხოლოდ შარშანდელი სეზონი ჩაატარა და ყველას დაუმტკიცა, რომ თუ ჯანმრთელობა ხელს უწყობს, ბევრის გაკეთება შეუძლია.

შარშან ბლეიკმა, მცველთაგან ერთადერთმა, 20 შაიბაზე მეტი გაიტანა და „ნორის ტროფიც“ დაიმსახურა, მაგრამ დაიწყო ახალი ჩემპიონატი და რობის კვლავ არ გაუმართლა. ერთ თვეში „მეფეთა“ კაპიტანმა უმძიმესი ტრავმა მიიღო და 15 თამაშიც გამოტოვა, რომელთაგან 12 მისიანებმა წააგეს. შაბათს იგი, როგორც იქნა, მომჯობინდა და მისი დაბრუნებით გახარებულმა ლოს ანჯელესმა ვანკუვერსაც სძლია, მაგრამ შეხვედრის მიწურულს, როცა თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, ბლეიკს ცუდად წაუვიდა საქმე — კანადელ ჰარი იორკს ხელში ყვანჯი ჩაარტყა და დააშავა, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს. ორშაბათს კი ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა ბლეიკს 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

* * *

წლეულს ძალიან უსუსურად მოთამაშე ვაშინგტონი და ტამპა რაღას არ ღონობენ, რათა თავი დააღწიონ კრიზისს. დედაქალაქელთა მწვრთნელმა რონ უილსონმა თვით გუნდის კაპიტანი დეილ ჰანტერი დასვა სათადარიგოთა სკამზე, რითაც ვეტერანს ზედიზედ ჩატარებული 306-მატჩიანი სერია შეაწყვეტინა. ტამპამ კი ბოლო მატჩებში აგერ უკვე მეოთხე მეკარე — ზაკ ბიერკი გამოიყენა (გუნდის ორი ძირითადი მეკარე ტრავმირებულია), ხოლო გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა ფორვარდმა ალექსანდრ სელივანოვმა, რომელიც კლუბის ყოფილი გენერალური მენეჯერის ფილ ესპოზიტოს სიძეა, უიღბლო 29 ნომერი 61-ით შეცვალა. სხვათა შორის, ამის შემდეგ პირველივე მატჩში მან გოლი გაიტანა (მანამდე სულ ორი გაეტანა).

* * *

ლიგის დებიუტანტმა ნეშვილმა თანდათან დაიმკვიდრა ადგილი ნჰლ-ში. მართალია, შაბათს, მონრეალთან შეხვედრისას, „მტაცებლებმა“ ვერ იმარჯვეს, მაგრამ ორი საკლუბო რეკორდი დაამყარეს — მეორე პერიოდში 20-ჯერ, ხოლო მთელი თამაშის განმავლობაში 43-ჯერ დაარტყეს. ეს უკანასკნელი შედეგი ექვსით აღემატება მათ ადრინდელ მიღწევას.

პიტსბურგში ვარშავის ხელშეკრულება გააფორმეს

ნჰლ-ის ჰოკეისტები საჯაროდ არცთუ ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას მწვრთნელთა ამა თუ იმ მოქმედების გამო, მაგრამ მას შემდეგ, რაც პიტსბურგის წამყვან სამეულში იარომირ იაგრთან მოთამაშე სტიუ ბარნსი მეოთხე ხაზში გადაიყვანეს, ფორვარდმა გაჩუმება არ ისურვა და ერთ-ერთ ინტერვიუში გუნდის მწვრთნელი კევინ კონსტანტინი გააკრიტიკა. მისი აზრით, მოთამაშისთვის, რომლის აქტივშიც 12 გოლია და რიცხმრავლობისასაც (7 შაიბა) ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს, ეს დამცირებაა, რადგან ახალ სამეულში ბარნსი გაცილებით ნაკლებ დროს ატარებს ყინულზე. თავის მხრივ, კონსტანტინი ამ გადაწყვეტილებას იმით ამართლებს, რომ ფორვარდი არცთუ კარგად ირჯება დაცვისას, თუმცა არც უარყოფს, რომ ბარნსი მეტად საჭირო ჰოკეისტია. საქმე კი ისაა, რომ წარმოშობით რუმინელი კონსტანტინი უპირატესობას მუდამ ჩეხებსა და რუსებს ანიჭებდა და მას შემდეგ, რაც „პინგვინებმა“ ალექსეი კოვალიოვი შეიძინეს, მან პირველი ორი სამეული მთლიანად ყოფილი სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებისგან შეკრიბა.



სტიუ ბარნსი

სამველ ლარიბიანი

საქართველოს ჩემპიონატი

9 ტური

ანონსი

18 დეკემბერი. ვერის ბაღი. 5 საათი

სტუ — აზოტი

რატომ არის სტუ — „აზოტი“ მეცხრე ტურის ყველაზე გამორჩეული მატჩი? თავდაპირველად იმიტომ, რომ მერვე საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი წრის ყველაზე დამაინტრიგებელი დაპირისპირება. და კიდევ, გათამაშების ცხრილში ჩავიხედოთ და...

ადრე ასე სულაც არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებში მაინც. ამ გუნდების ურთიერთშეხვედრები ძალიან ჩვეულებრივად აღიქმებოდა. ყოველთვის სტაბილურად მოთამაშე „აზოტი“ კიდევ უფრო ჩვეულებრივად უგებდა რიგით სტუდენტურ „დაჯგუფებას“, რომელიც წლიდან წლამდე ენთუზიაზმით სულდგმულობდა და თავისი ხვედრით სულაც არ იყო უკმაყოფილო.

ახლა ასე არ არის. წლეულს სტუ ძალიანაც მოღონიერდა და ეს ჯერ კიდევ მაშინ გაცხადდა, როცა კლუბის მესვეურებმა ოქრუაშვილ-ცირეკიძის სახით ერთ-ერთი ყველაზე შეხმატკბილებული წყვილი მოიძიეს ქართულ კალათბურთში მოღვაწე მწვრთნელთაგან. ამას ნაყოფიერი ვარჯიში და ძვირადღირებული შეკრებებიც მოჰყვა და შედეგს აღარ იკითხავთ? სტუ სატურნირო ცხრილის სათავეში მოკალათდა, თანაც ისე, რომ დამარცხების გემო ჯერაც არ იცის და მადაგახსნილი არც მრისხანე „აზოტის“ წინააღმდეგ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას. უეჭველია, სტუდენტები ძალ-ღონეს არ დაზოგავენ მეტოქის დასამარცხებლად და წადილის ასრულების შემთხვევაში „აზოტს“ არა მარტო ბურთების უკეთესი თანაფარდობით დაჯაბნიან, არამედ ქულათა მეტობითაც.

არც „აზოტის“ დამმარცხებელი გამოჩენილა წლეულს, თუ, რა თქმა უნდა, კორაჰის თასზე „შახტიორისგან“ ძლევას არ ჩავთვლით და ვიცე-ჩემპიონები, არ გადავაჭარბებთ, ცალი ხელით მოვიდნენ მეცხრე ტურამდე. აი, ხვალ კი რუსთაველები მთელი ძალით ამოქმედდებიან, რადგან არდადეგებზე ლიდერად წასვლის სურვილი კლავთ.

ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული ირაკლი ჯაფარიძეზე, რომელიც როგორც „აზოტის“, ასევე ნაკრების ფარის მისადგომებს ამაგრებს. მას სავარაუდოდ ვასილ ოთიურიძეს მიუჩენენ, რომელიც ნომინალური ცენტრი არ გახლავთ, მაგრამ ამ ხელობასაც წარმატებით ითავსებს. არ უნდა დავივიწყოთ რამაზ გოგობერიშვილი, რომელიც გააზრებულად უძღვება გუნდის შეტევებს. მისი მეურეე დღეს, ალბათ, გიგი ნაცვლიშვილი იქნება, რომელსაც დაცვაში თამაში დიახაც რომ ეხერხება. ძალიან გაუჭირდებათ სტუდენტებს ზვიად ბაბიაშვილის უვნებელყოფა. მის თამაშიდან გამოთიშვას რიგრიგობით ნოზაძე, მინაშვილი და სუხიშვილი შეეცდებიან, მაგრამ საეჭვოა ბაბიაშვილს რაიმე დააკლონ — დღესდღეობით ზვიადი უფრო ძლიერია. ჟენტი-გაბინსონის დუეტი უკანა ხაზს აკონტროლებს და რიგიანადაც. მათთან ბრძოლაში დიდი ჯაფა დაადგებათ მიქაძეს, მოისწრაფიშვილსა და, რა თქმა უნდა, გამოცდილ ჩერქეზიშვილს, რომელიც თავისი შესაძლებლობების ბოლომდე წარმოჩენას შეეცდება.

ერთი სიტყვით, ეს შეხვედრა მეტად დაძაბული და საინტერესო იქნება და, ვფიქრობთ, წერილის თავში დასმულ კითხვასაც ამომწურავად ეუპასუხეთ.

17 დეკემბერი. ვერის ბაღი. 5 საათი

შევარდენი — სდასუ

სულ ახლახან შარშანდელი პრიზიორისა მართლაც რომ არავის შეშურდებოდა. სატურნირო ცხრილის ბოლოში მოქცეული სტუდენტური გუნდის უხეირო გამოსვლის მიზეზი მრავლად იყო — ჩემპიონატის დაწყებისას შემადგენლობის განახლება, მოთამაშეთა შეუთამაშებლობა... ეს კი სდასუ-ს ქომაგთათვის დიდი ვერაფერი ნუგეში გახლდათ, ერთგული გულშემატკივარი ხომ მუდამ გამარჯვებას ითხოვს. კლუბის მესვეურნიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მხარდამჭერთა ნდობის აღსადგენად და ახლა, მტოქე გუნდებისგან განსხვავებით, მართლაც რომ ჩინებულად აქვთ საქმე. თორთლაძისა და უძილაურის შემომატებამ ნაყოფი უმალ გამოიღო და აჰა, ზედიზედ ორი გამარჯვებით სდასუ ძველებურ, პრიზიორის საკადრის იერს იბრუნებს. სისხლის გადასხმამ სტუდენტებს მართლაც რომ სულზე მიუსწრო, გულშემატკივარიც ოდნავ დამშვიდდა — სდასუ-ს რიხი მოემატა, აბა, ახლა ნახეთო და ასეცაა, თორთლაძე — უძილაურის დუეტი გუნდის მამოძრავებელი ძალაა. გააზრებული შეტევების წამოწყება თუ დაცვის საიმედობა, რაც მთავარია, ზუსტი სამიანები — აი, რა ახასიათებს ამ ბიჭების თამაშს, რომელთაც გუნდის მიერ მოპოვებული ზედიზედ ორ გამარჯვებას ჩაუყარეს საფუძველი.

ახალშემმატებულებზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ სდასუ-ს აღმასვლა მთლიანად მათზეა დამოკიდებული. რაც მთავარია, გუნდმა თავისი ძალა ირწმუნა და მოგებათა გასამეორებლაც შეეცდება. ეს კი არცთუ ძნელად მიგვაჩნია, სდასუ-ს ახლანდელი მეტოქე ხომ „შევარდენია“. თუმცა არც ის უნდა დავივიწყდეს, რომ ეს გუნდიც ყველასთვის უხერხული მეტოქეა. ჩემპიონატის ფავორიტებს შევარდენლები მთელი შეხვედრის მანძილზე ტოლ-სწორად ეთამაშებიან და ერთობ ეხერხებათ ზუსტი სამქულიანები.

ასე რომ, ახლანდელი მათი პაექრობა უფრო სნაიპერთა დუელს დაემსგავსება, ორივე ბანაკში ხომ მრავლად არიან ამ საქმეში გაწაფულნი. სდასუელ თორთლაძეს და უძილაურს შევარდენელი ახალწვეულები — ნუცუბიძე, გაგნიძე და აკოლაშვილი დაუპირისპირდებიან, რომელთაც გუნდის გამოცოცხლებაში დიდი წვლილი მიუძღვით.

17 დეკემბერი. ვერის ბაღი. 17 საათი

მაკაბი — დინამო

ექვსი მატჩი და ექვსი წაგება — „მაკაბის“ ბედს მტერსაც არ ვუსურვებთ. გუნდს თითქოს არც მოშზადება აკლია და, შესაბამისად, არც ამბიციები, მაგრამ ვერა და ვერ უმარჯვია. არადა, რამდენჯერ იყვნენ მაკაბელები მიზანთან ახლოს. თუგინდ წინა, სდასუ-სთან შეხვედრა გავიხსენოთ, ნავსის გატეხვას კი საშველი არ დაადგა.

აქამდე „მაკაბის“ დაღმასვლის მიზეზად ძლიერი გამთამაშებლის არყოლას ვასახელებდით, ახლა კი საქმე სხვანაირადაა. ტყუპი ბერიშვილების შემომატებით ეს პრობლემა გადაიჭრა. ძმები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ და გააზრებული თამაშითა თუ შორი სამიანებით გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ. სიტყვას გადავუხვიეთ და წაგებათა მიზეზი სულ სხვაა — სათადარიგო სკამის არქონა. თუმცა, არც ესაა ახალი, „მაკაბი“ გრძელი სკამით არც ადრე გამოირჩეოდა. 6 მოთამაშით ჩატარებული მატჩები მხოლოდ გუნდის საბრძოლო ჟინსა და თავგამოდებაზე მეტყველებს, შეუცვლელად თამაში კი — დაღლაზე, რაც საბოლოოდ შედეგზეც ისახება.

გუნდში გამთამაშებელთა მოსვლის შემდეგ ანდღულაძე თავის ამპლუას დაუბრუნდა და ძველებურად ათამაშდა. ფერიაშვილიც და ტალაბაძეც ჩვეულად ირჯებიან. ერთი ესაა, ოდნავ პაპასკირი მოიკოჭლებს, მაგრამ დროდადრო მისი აქტიურობა აუცის თქმის უფლებას არ გვაძლევს. და მაინც, „დინამოსთან“ პაექრობისას შესაძლოა დაღლილობამ იჩინოს თავი, რაც მაკაბელთა თავკაცობის მთავარი საზუხარია.

დალხინებული არც „დინამოა“. მის ხელმძღვანელობას საფიქრალს რა გამოულევს. მთავარი ცენტრთა „სინორჩეა“, მათი გამოუცდელობითაა, რომ გუნდი საჰაერო ბატონობას მეტოქეებს უთმობს. ახლა თორნიკე ნინაშვილი დაბრუნდა. კლუბის უფროსობას ამ 17 წლის გიგანტის (სიმაღლე 205 სმ), დიდი იმედი აქვს — მოწინააღმდეგეთ ორივე ფარზე ბატონობას ეს ბიჭი შეეცილება. რაც შეეხება დანარჩენ რგოლებს, აქ საქმე „დინამოს“ უკეთ აქვს. მაისურაძის გამოკლების მიუხედავად, დირიჟორის ჭაპანს ნიკოლაძე კარგად ეწევა, რომელსაც ხეცურიანიც შეძლებისდაგვარად ეხმარება. ცალკე აღნიშვის ღირსია შანიძე, მას ხომ შეტევებში სხვათა დაწიოკება ეხერხება. წიკლაურიც ამართლებს იმედებს და გუნდის ბირთვიც იკვრება.

რაც შეეხება თავად მატჩს, „მაკაბი“ — „დინამოს“ შეხვედრას დამატებით ინტრიგას ისიც მატებს, რომ მეტოქეთა მწვრთნელები წლების მანძილზე ერთად მუშაობდნენ. ექსფლაგმანის თავკაცი ეროვნულში თავის გუნდის აღზევებას ცდილობს, მხეიძის „მაკაბი“ კი — წაგებათა ჭაობიდან თავის დაღწევას. ასეთი განსხვავებული მიზნების კვალობაზე ამ შეხვედრაში მათი სურვილი ერთია — მხოლოდ მოგება, რომელიც „დინამოსთვის“ მორიგ ორ ქულას ნიშნავს, „მაკაბისთვის“ პირველ გამარჯვებას.

ამ ქუჩაზე დიდი კალათბურთი ვერ შემოეტევა

კიროვის პარკიდან მსოფლიო სარბიელისკენ

მერამდენე წელიწადია ქართული კალათბურთი დამოუკიდებელია? მერამდენე წელიწადიც არ უნდა იყოს, ის ჯერ არ გასცილებია კიროვის პარკის სანახებს. კიროვის პარკის სანახები კი, რაც არ უნდა საყვარელი ალაგი იყოს, არ შედის ქალაქის საექსკურსიო მარშრუტში.
რახან საექსკურსიო მარშრუტში არ შედის, უცხოელებიც არ ნახულობენ. აქ უცხოური არაფერი შემოდის და ცხადია, არც უცხოურმა კალათბურთმა იცის, რომ კიროვის პარკში მის ერთ-ერთ ნაირსახეობას მისდევენ.
აქ იმას არ ვგულისხმობთ, რომ ქართველები ცუდად თამაშობენ კალათბურთს. არამედ იმას, რომ ასე თამაშს და ასეთ ჩემპიონატს აზრი არა აქვს.



NCCA-ს, სტუდენტური ლიგის თამაშებს, ბევრად მეტი ხალხი ესწრება, ვიდრე ნბა-ს შეჯიბრს. როცა არც ნბა გაქვს და არც ეროვნული ჩემპიონატი გივარგა, საიდან უნდა დაიწყო? ალბათ, სტუდენტობიდან, მოყვარულობის ყველაზე ჯანსაღი წერტილიდან.

ქართველებს შეუძლიათ ძალიან კარგად ითამაშონ კალათბურთი. მაგრამ მათ არ შეუძლიათ კალათბურთი სპორტად და სანახაობად აქციონ. ადრე, საბჭოთა ხანაში მათ ეს შეეძლოთ, ახლა კი აღარ შეუძლიათ. მოგებაზე და წაგებაზე, ისრაელის, იტალიისა და საბერძნეთის დაჯაბნვაზე არ არის ლაპარაკი. ლაპარაკია მოვნების, მოდის, მისწრაფების ფარდი სანახაობა იქ ხვალინდელზე ფიქრი, როგორღაც უადგილოც კი იყო.

დღევანდელი მდგომარეობა კი გვარწმუნებს, რომ ამგვარი სახით საკლუბო ჩემპიონატის ჩატარება უაზრობაა. კომერციულად ჩემპიონატი არაფრის მომტანია (ბილეთიც კი არ იყიდება, თუ პლეი-ოფს მიზეზზე — რად უნდა საქართველოს ასეთი ჩემპიონატი?

საქართველოს ჩემპიონატი კლუბებს შორის სამი-ოთხი წლის წინათ ბევრად საინტერესო იყო. ეს არ ნიშნავს, რომ კარგი იყო, მაგრამ ბანანის, ტყვია-წამლის და ძველბიჭობის ქვეყნის პირობაზე შეეხედებოდა. ის დრო წავიდა და მოსაგონარი კი მაინც დარჩა — ქართული „ოლ სტარზი“ მაინც იმართებოდა, თამაშების დრამატიზმს ერთგვარი ოსტატობაც განაპირობებდა და არა მხოლოდ მუშტიკრივი.

ის კალათბურთი იყო სწორედ იმ ხანის სარგო და სულაც არ იყო სპორტი. სამაგიეროდ, იყო დროის შესაბამისი გეგმა, ზღაპრულ, ლეგენდარულ მოედანზე შემოეტევა დიდი კალათბურთი.

ეზოებში, კალათბურთის ფარდი გ[illegible] [illegible] ... ბი არ იყო. კალათბურთი აღარ არის სპორტის მარბიელი სახეობა, რომ [illegible] [illegible] ... ნებს დაეხებდა.

ახლა ხომ არ დაიწყებ, საბერძნეთში ასე ჭნეს, თურქეთში ასეო? ბერძნული კალათბურთი ერთადერთი კაცის, ნიკოს გალისის გარშემო აიგოო, ფული მოვიდაო და ა.შ. „ფული მოვიდა“ სულაც არ ნიშნავს, რომ საქმე აეწყო.

ეს სულ ტყუილი ლაპარაკია. ფული პროექტების ასამოქმედებლადაა საჭირო. ჩვენს კალათბურთს კი აბა რა პროექტი აქვს? ფორმები უნდა ვიყიდოთ? ბურთები? მსაჯებს დაცვა ვუქირავოთ, თუ დარბაზი გავანათოთ?

ასეთი პროექტები სულაც არ არის საინტერესო.

„მე რომ თავმჯდომარე ვიყო“ — გახსოვთ ასეთი რუბრიკა ძველ გაზეთებში?

მე რომ სულ პირველი თავმჯდომარე ვიყო, ვიფიქრებდი და გადავწყვეტდი, რომ ასეთ ჩემპიონატს აზრი არა აქვს. რატომ და იმიტომ, რომ მას არც საფუძველი აქვს და არც ზედნაშენი. ის მოწყვეტილია ყველას და ყველაფერს. ყმაწვილი კალათბურთელები შემოდიან ამ ჩემპიონატში და უიშვიათესი გამონაკლისის გარდა აქვე რჩებიან. მათი წინსვლა შეწყვეტილია.

მე რომ სულ პირველი თავმჯდომარე ვიყო, ვიფიქრებდი, რომ ჯერჯერობით მაინც, საქართველოში კალათბურთი ღიად სამყაროულო იყოს და შემოიფარგლოს სტუდენტური ჩემპიონატით. აი, აქ კი დამჭირდებოდა პროგრამა. ამ პროგრამას ბავშვებით დავიწყებდი და ამოვიდოდი NCAA-ს ტიპის პირველობამდე. გინდა კალათბურთის განვითარება და წინსვლა? სკოლების სამმეოთხედში სავალდებულო საგანი ნიშნით — მესამე კლასიდან მეთერთმეტემდე. სკოლების პირველობა, ქალაქების, ქვეყნის. რამდენი უმაღლესი სასწავლებელია ქვეყანაში, რამდენი უნივერსიტეტი და აკადემია? ყველა სდასუს უნდა დაემსგავსოს. სავალდებულო წესით. ყველა უმაღლეს სასწავლებელს უნდა ჰქონდეს საკალათბურთო განყოფილება. იმ განყოფილებაში შედგება თორმეტკაციანი ნაკრები, ანუ იქაც კონკურენცია უნდა იყოს. ჯილდო, გამორჩეული სტიპენდიები. მთელი ქვეყნის მრავალსაფეხურიანი სტუდენტური პირველობა, თავისი ფინალური ოთხეულით თბილისში. მივცეთ ამ შეჯიბრებას ეროვნული ჩემპიონატის სტატუსი და ფიბას მოთხოვნა, ქვეყნის პირველობა აუცილებლად ჩაატარეთო, დაკმაყოფილებული იქნება.

ეს ძალიან ძველი, დიდი ხნის წინათ დაწერილი პროექტია.

განაცხადებენ, უტოპიაო — „ფული მოვიდეს“ და ნახავთ რომ უტოპია არ არის. სახელმწიფო პროგრამაა, ის ხომ არა. მწვრთნელები და მეთოდისტები საიდან — ეს ამხელა სპორტის აკადემია რისთვისლა? იქ ჩამოიყვანთ განთქმულ ჯეელებს და გვასწავლიან. შტერები ხომ არ ვართ? ვისწავლით. ყველაფერი ხელახლაა სასწავლი.

ისევ ფული. აკი ვამბობ, სახელმწიფო პროგრამა-მეთქი და აქეთ-იქედანაც შემოემატება. სულ ასე ხომ არ ვიქნებით?

მთავარი სწავლაა, თანამედროვე ამბის და მიმართულებების გაგება.

აი, მერე კი, გინდა ლიგა დააარსე, გინდა ასოციაცია. ნამდვილად გამოვა.

ასე კი, კიდევ რამდენი ჩემპიონატი უნდა გაიმართოს კიროვის პარკში, რომ რაიმე შეიცვალოს? არაფერი შეიცვლება. იმიტომ, რომ, როცა არაფერი ხდება, არაფერი იცვლება და რამდენი ფულიც არ უნდა მოვიდეს, ჩვენ ვერ ვნახავთ სპორტსა და სანახაობას. ჩვენი საუკეთესო მოთამაშენი საზღვარგარეთ ივარგებენ, ჩვენ კი მათი თამაშით ვერ დავტკბებით.

ერთხელაც იქნება და იმ ორას-სამას ადამიანს, უცნაური ჩვევის გამო, უფრო კი უსასყიდლო შესვლის მიზეზით რომ დაიარება კიროვის პარკში, დაეზარება და მაშინ კალათბურთი საბოლოოდ დამთავრდება. სანახაობა თავისთავად აღარ იქნება. სპორტიც.

მერე, საინტერესო აღარ არის. კიროვის პარკის ადგილას ადრე სასფლაო იყო. ცუდია, რომ ტრადიცია ასე გრძელდება.

ჩვენები შვედებს ეჩხუბნენო. წაეჩხუბები, აბა რა? მითუმეტეს, რომ სხვა გამოსავალს აშკარად ვერ ხედავ.

კალათი ძალიან ვიწროა, ბურთი კი უზარმაზარი გამხდარა. მიზანიც ესაა, რომ პირიქით იყოს.

და როგორ იქნება პირიქით, როცა არც სისტემა და არც პროექტი. როცა ეს ორი გაქვს, ფულზე სირბილიც შეიძლება.

ირაკლი გამყრელიძე



REUTERS სტამბოლიდან

ეფესი — პანათინაიკოსი. როგორც ეფესელმა სარიჯამ ვერა დააკლო პანათინაიკოსელ ბოდიროგას (10), ისე მისი გუნდი ვერას გახდა ბერძნებთან

პანათინაიკოსის დაუმხოგველი რეკორდი

გუშინ ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ათენის „პანათინაიკოსმა“ სტამბოლის „ეფესს“ 80:53 მოუგო და აღნიშნული ეტაპი წაუგებლად, ათი მოგებით დასრულა. ცხადია, ამ რეკორდს დამხობა არ უწერია, ის კი არა, მისი გამეორებაც მეტად ძნელი საქმეა.

„პანათინაიკოსს“ ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა, მაგრამ მაინც შესაშური აღმავლობით ითამაშა. მეტოქეც არ ჰყავდა ჯაბანი: „ეფესი“, რომელიც, ბერძნული გუნდისა არ იყოს, ვარსკვლავებითაა მოჭედილი: ნაუმოსკი, სავიჩი, დრობნიაკი... სტამბოლელები ბოლოსწინა ტურამდე კვალში მიჰყვებოდნენ ბერძნებს და ათენში დამარცხებისთვის რევანშსაც გეგმავდნენ, მაგრამ...

„ეფესმა“ ვერ გაუძლო რბოლას. ვერც გუშინ გააწყო რამე ბრწყინვალე ბოდიროგას და მისი ამფსონების — რაჯას, ალვერტისის, ეკონომუს და სხვათა წინააღმდეგ. გუშინ ევროლიგის აბსოლუტური ლიდერი თავისი პოზიციის შესაბამისად გაისარჯა.

11 ათასი მხარდამჭერის თვალწინ „პანათინაიკოსმა“ პირწმინდად წალეკა თურქები. 27-ქულიანი სხვაობა ამის თქმის საფუძველს იძლევა. გაშმაგებული თურქ გულშემატკივრები ბოლომდე უჭერდნენ მხარს „ეფესს“, მაგრამ არც „პანათინაიკოსის“ შესანიშნავი თამაშის აღნიშვნა დავიწყნიათ და ბერძნები რამდენჯერმე ტაშით დააჯილდოვეს.

ნუთუ ვეღარ ვნახავთ ჯორდანს?!

უკვე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც კალათბურთის ეროვნულმა ასოციაციამ ლოკაუტი გამოაცხადა და ერთმანეთს შემოშწყრალ მოთამაშეებსა და კლუბების მფლობელებს არჩევანი არ დაუტოვა, რადგან გააფრთხილა — ან მორიგდით, ან სეზონს გამოეთხოვეთო.

უფრო ადრე კალათბურთის გულშემატკივარმა ნბა-ს ბოლო ოფიციალური შეხვედრები იხილა — დაძაბულ ექვსმატჩიან სერიაში „ჩიკაგო ბულზმა“ „იუტა ჯაზს“ ძლია და მეექვსედ მოიპოვა ნბა-ს ჩემპიონის ტიტული, რომელსაც იქაურები მსოფლიოს ჩემპიონის წოდებასთან აიგივებენ.

უკვე ხუთ თვეზე მეტი გავიდა, რაც ნბა-ში შეწყდა ყოველგვარი თამაშები, ვარჯიშები თუ გადასვლა-გადმოსვლები და ნამდვილ სანახაობრივ კალათბურთს დანატრებული გულშემატკივარი კვლავ სიამოვნებით იხსენებს განვილი სეზონს, განსაკუთრებით პლეი ოფის ფინალურ სერიას და მის მეტად საინტერესო ბოლო მატჩს. მით უფრო, რომ ეს შეხვედრა, რომელიც, შესაძლოა, უკანასკნელი გამოდგეს კალათბურთის ცოცხალი ლეგენდის და ყველა დროის უძლიერესი კალათბურთელის მაიკლ ჯორდანისთვის, მის ბენეფისად იქცა. მისმა „ჰაერის უდიდებულესობამ“ — 45 ქულა დააგროვა.

რაც შეეხება ზემოხსენებულ თამაშს, მას იუტა 84:82 იგებდა. ჯორდანმა ჯერ გაათანაბრა, მერე კი მეტოქე გუნდის ლიდერს კარლ მელოუნს ბურთი წაართვა და მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე მისთვის და გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო. „ჩიკაგო ბულზმა“ სერიის მეექვსე მატჩში 86:84 იმარჯვა და მეექვსედ გახდა ჩემპიონი ბოლო რვა სეზონში. ბევრი ამ სროლას ჯორდანის კარიერაში საუკეთესოდ თვლის.

დიდი მაიკლი ამჟამად 35 წლისაა და ზურგსუკან ცამეტი სეზონი აქვს, ეს კი სულაც არაა ცოტა. დროს ვერაფერი გააჩერებს და ჯორდანსაც, რა თქმა უნდა, დაეტყო ასაკი. მართალია, იგი კვლავაც უძლიერესია მსოფლიოში, მაგრამ ბოლობოლო, ხომ ყველაფერი მთავრდება. დაირხა კიდეც ხმები, რომ 90-იანი წლების უძლიერესი გუნდის „ჩიკაგო ბულზის“ ძველი შემადგენლობიდან თითქმის არავინ რჩება. წავიდა გუნდის უფრო მწვრთნელი ფილ ჯეკსონი, კლუბის მეპატრონეებს გულში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის, სკოტი პიპენის გაშვებაც აქვთ ამოჭრილი. უამბიციო გუნდში გაჩერება არც მოხსნების დიდოსტატს, გიუმად დენის როდმანს აქვს, სანახევროდაა აბარგებული მაიკლ ჯორდანიც, თუმცა მას მრავალჯერ უთქვამს, რომ ჯერ არაფერი გადაუწყვეტია. იგი მაინ გააკეთებს არჩევანს, როდესაც საბოლოოდ გაირკვევა, დაიშლება თუ არა ჩემპიონი გუნდი. ხალხს კი ეჭვი ღრღნის, იყო თუ არა ზემოთ ნახსენები სროლა „ხარებისთვის“ ჩემპიონობის მომტანი და ბოლო ოფიციალური შეხვედრის ბოლო ქულები. შეიძლება ასეც იყოს.

ამსობაში ჩიკაგოელმა სპორტულმა მიმომხილველმა ბობ კონდორმა თავის წიგნში აღწერა ყველა დროის უძლიერესი კალათბურთელის 50 საუკეთესო შეხვედრა და მათ შორის პირველ ადგილზე „იუტასთან“ ზემოთქმული მატჩი დააყენა. მისი აზრით, მეორეა ასევე ფინალური შეხვედრა „იუტასთან“, ოღონდ ეს მატჩში არა 1998-ში, არამედ ერთი წლით ადრე გაიმართა, ეს სერიაც 4:2 დასრულდა.

ახლა კი, სანამ 1998-99 წლების სეზონის გამართვა-არგამართვის საკითხი ჰაერშია გამოკიდებული და კალათბურთის გულშემატკივარი მოუთმენლად ელის ესოდენ დიდხანს გაწელილი ლოკაუტის დასრულებას, ჯორდანი, ისევე, როგორც მთელი ნბა, თითქმის უსაქმოდაა და არაფერი დარჩენია, მოდავე მხარეთა მოსალაპარაკებელ შეხვედრებში მონაწილეობის გარდა.

ირაკლი ფირაშვილი



სპორტიელის არქივიდან

1998 წლის 10 ივნისი. მაიკლ ჯორდანი იუტელ ჯეფ ჰორნაჩეკს გასცდა და კიდევ ერთხელ ჩააგდო. ნუთუ ვეღარ ვნახავთ ჯორდანს მოედანზე?!

საპორტას თასი. ჯგუფური ეტაპი. X ტური. 15 დეკემბერი

A ჯგუფი

ეშტრელა (პორტუგალია) — ატლეტასი (ლიტვა) 86:72; სონი (იტალია) — კალევი (ესტონეთი) 81:83; ჩერნო მორე (ბულგარეთი) — პოლზელა (სლოვენია) 81:72

სონი	10	7	3	751:693	17
კალევი	10	6	4	764:699	16
პოლზელა	10	6	4	705:709	16
ეშტრელა	10	5	5	730:737	15
ჩერნო მორე	10	3	7	755:807	13
ატლეტასი	10	3	7	709:769	13

B ჯგუფი

მზტ (მაკედონია) — ტელეკომი (თურქეთი) 73:81; მლეკარნა (ჩეხეთი) — შოლე (საფრანგეთი) 79:80

სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — სპლიტი (ხორვატია) 79:82

სლოვაკოფარმა: ონდრუშკა (2), კუზნეცოვი (17), ლუკიანეცი (9), მიჩუდა (13), რისტანოვიჩი (13), სირტაუტასი (6), საბო (10), ზადრავეცი (9)

შოლე	10	8	2	815:675	18
ტელეკომი	10	7	3	768:722	17
სპლიტი	10	5	5	800:760	15
სლოვაკოფარმა	10	5	5	759:771	15
მზტ	10	3	7	738:805	13
მლეკარნა	10	2	8	755:902	12

C ჯგუფი

ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — სენტ პიოლტენი (ავსტრია) 95:69; ცეპტერი (პოლონეთი) — პამესა (ესპანეთი) 64:65; ბროცენი (ლატვია) — ჰაპოელი (ეილათი, ისრაელი) 83:80

პამესა	10	10	0	805:678	20
ბუდუჩნოსტი	10	6	4	780:767	16
ცეპტერი	10	5	5	729:706	15
ბროცენი	10	5	5	798:815	15
სენტ პიოლტენი	10	2	8	701:768	12
ჰაპოელი	10	2	8	771:850	12

D ჯგუფი

ტოპო (ფინეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) 71:82; პივოვარნა (სლოვენია) — აეკ (საბერძნეთი) 93:71; ატომერომუ (უნგრეთი) — ზაგრები (ხორვატია) 77:62

პარტიზანი	10	9	1	850:744	19
პივოვარნა	10	7	3	836:803	17
აეკ	10	7	3	757:695	17
ატომერომუ	10	3	7	758:816	13
ზაგრები	10	3	7	701:780	13
ტოპო	10	1	9	727:791	11

E ჯგუფი

შარლერუა (ბულგარია) — თოფაში (თურქეთი) 67:62; კორმენდი (უნგრეთი) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 84:90; ბოსნა (ბოსნია) — სტატიბა (ლიტვა) 72:77

თოფაში	10	7	3	774:650	17
ჰაპოელი	10	7	3	770:707	17
შარლერუა	10	7	3	680:682	17
სტატიბა	10	6	4	757:776	16
კორმენდი	10	2	8	723:841	12
ბოსნა	10	1	9	672:720	11

F ჯგუფი

შიროკი (ბოსნია) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 55:59; ანტვერპენი (ბელგია) — არისი (საბერძნეთი) 59:61; პლანია (შვედეთი) — ტრირი (გერმანია) 88:81

არისი	10	9	1	799:637	19
ლიმოჟი	10	7	3	711:637	17
ანტვერპენი	10	5	5	708:736	15
ტრირი	10	4	6	741:781	14
პლანია	10	3	7	756:802	13
შიროკი	10	2	8	653:775	12

G ჯგუფი

აპოელი (კვიპროსი) — ულმი (გერმანია) 70:61; მაზოვეანკა (პოლონეთი) — ხუვენტუდი (ესპანეთი) 62:94

ვენტსპილსი (ლატვია) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) 100:82

სპარტაკი: ასტახოვი (2), ასტანინი (11), ჩაპლიგინი (5), დიომინი (10), ფილიპოვი (10), იუსანოვი (10), რომანენკო (4), ვაშაკიძე (9), ვედიშევი (21)

ხუვენტუდი	10	9	1	855:703	19
ულმი	10	7	3	775:759	17
ვენტსპილსი	10	5	5	860:813	15
მაზოვეანკა	10	4	6	751:783	14
აპოელი	10	3	7	689:736	13
სპარტაკი	10	2	8	770:906	12

H ჯგუფი

ჰანს ფერკერკი (ჰოლანდია) — უნიქსი (რუსეთი) 79:73; შტალბაუ (ავსტრია) — ოვარენშე (პორტუგალია) 73:66; ბიპა მოდა (უკრაინა) — ბენეტონი (იტალია) 62:75

ბენეტონი	10	10	0	822:644	20
უნიქსი	10	5	5	757:748	15
ოვარენშე	10	4	6	682:697	14
შტალბაუ	10	4	6	691:748	14
ჰანს ფერკერკი	10	4	6	593:639	14
ბიპა მოდა	10	3	7	655:724	13

მეოთექვსმეტეფინალი. 12 და 19 იანვარი

სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — სონი (იტალია)
სპლიტი (ხორვატია) — კალევი (ესტონეთი)
პოლზელა (სლოვენია) — ტელეკომი (თურქეთი)
ეშტრელა (პორტუგალია) — შოლე (საფრანგეთი)
ატომერომუ (უნგრეთი) — პამესა (ესპანეთი)
აეკ (საბერძნეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)
ცეპტერი (პოლონეთი) — პივოვარნა (სლოვენია)
ბროცენი (ლატვია) — პარტიზანი (იუგოსლავია)
ტრირი (გერმანია) — თოფაში (თურქეთი)
ანტვერპენი (ბელგია) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი)
შარლერუა (ბელგია) — ლიმოჟი (საფრანგეთი)
სტატიბა (ლიტვა) — არისი (საბერძნეთი)
შტალბაუ (ავსტრია) — ხუვენტუდი (ესპანეთი)
ოვარენშე (პორტუგალია) — ულმი (გერმანია)
ვენტსპილსი (ლატვია) — უნიქსი (რუსეთი)
მაზოვეანკა (პოლონეთი) — ბენეტონი (იტალია)

საპორტას თასი. სლოვაკოფარმა — სპლიტი

ბერძენიშვილს კისერი გაუშეშდა

ხორვატულ „სპლიტთან“ სამი ქულით დამარცხებით „სლოვაკოფარმამ“ ჯგუფში მესამე ადგილის დაკავების რეალური შანსი დაკარგა, თორემ თავისას მაინც მიაღწია და საპორტას თასის გათამაშებაში შემდგომ ეტაპს უწია. სლოვაკური გუნდის ქართველი ლეგიონერი, დავით ბერძენიშვილი კი ვერც ამჯერად ვიხილეთ მატჩის ოქმში.

— მე ხომ ბედი არა მაქვს. ხორვატებთან სათამაშოდ საგანგებოდ ვემზადე, მაგრამ ერთ-ერთ ვარჯიშზე თავი ცუდად მივაბრუნე და...

ბოლო დღეები არც მივარჯიშია, კისერი გაშეშებული მქონდა და შეუძლოდ ვიყავი.

— უშენობით „სლოვაკოფარმაც“ დაზარალდა...

— სიმართლე გითხრათ, ამ შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა. მეთექვსმეტეფინალში მაინც გასულები ვიყავით და ამანაც დიდად იმოქმედა, თუმცა ხორვატებმაც კარგად ითამაშეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს, რაც ძირითადად მათი გრძელი სკამით აიხსნება. ჩემს გარდა „სლოვაკოფარმას“ ორი წამყვანი მოთამაშეც აკლდა, რომლებიც ტრამვირებულები არიან. ჩვენი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ესაცაა.

— ჩვენი ნაკრების სამარცხვინო გამოსვლაზე ხომ არაფერი დაცდენიათ სლოვაკებს?

— თითქმის არა. აქ საქართველო ვის ახსოვს, თვითონ სლოვაკებიც ჩვენს დღეში არიან, თამაშს თამაშზე აგებენ და ჯგუფშიც ბოლო ადგილზე იმყოფებიან.

თუმცა საკლუბო კალათბურთი მაინც სულ სხვაა. ამ მხრივ ესენი ბევრად გვჯობიან და ამბიციაც აქვთ. ახლა ყველა მილანის „სონიზე“ ფიქრობს. ეს კლუბი საპორტას თასის მეთექვსმეტეფინალში გვერგო და უნდა მოვუგოთო, გაიძახიან.

საფრანგეთი

XIX ტური

ნანტი 2:0 ნანსი
1:0 ფაბრი (39), 2:0 და როშა (52)

მონაკო 1:1 ტულუზი
1:0 კონჯიჩი (67), 1:1 მალმი (83)

ლანსი 1:1 სოშო
0:1 ფლაშესი (26), 1:1 ნუმა (44)

ლიონი 2:2 ლორიანი
0:1 პედრონი (26), 0:2 ლოკო (32), 1:2 ფიშერი (48 ს.კ.), 2:2 ლინარესი (81)

ლე ავრი 2:0 რენი
1:0 ვაისერი (9 ს.კ.), 2:0 ნალისი (52)

მონპელიე 0:1 მარსელი
0:1 მორისი (41)

პსჟ 0:0 სტრასბური

შოტლანდია

გამოტოვებული მატჩი

მოზერველი 2:1 დანდი
1:0 კოილი (35), 1:1 ადამჩუკი (37), 2:1 მაკმილანი (77)

ჰოლანდია

გამოტოვებული მატჩები

ნაიმეგენი 1:1 ვალვაიკი
1:0 პოტპუიზენი (17), 1:1 დე გრაეფი (42)

ბრედა 2:3 კამბური
0:1 ბერჰალტერი (24), 0:2 ჰენდრიკსენი (45), 1:2 არველაძე (63ჯ), 2:2 მილიჩიჩი (81), 2:3 რიესვიეკი (89)

როდა 2:0 ტვენტე
1:0 ვან ჰოუდტი (53), 2:0 ნიგაარდი (57)

ესპანეთი

თასის გათამაშება

პირველი მატჩები

დეპორტივო 1:1 სპორტინგი

ვილიარეალი 2:2 სევილია

რასინგი 2:0 ოსასუნა

ვალიადოლიდი 1:1 გადახოსი

ლას პალმასი 0:1 ლევანტე

ტენერიფე 2:2 ბენიდორმი

ინგლისი

გამოტოვებული მატჩი

მანჩესტერი 1:1 ჩელსი
1:0 კოული (45), 1:1 ძოლა (83)

თურქეთი

გამოტოვებული მატჩი

გალათასარაი 2:0 ბეშიქთაში

გერმანია

გამოტოვებული მატჩები

დუისბურგი 3:1 ლაუტერნი
0:1 როსლერი (40), 1:1 ბაიერლე (48), 2:1 ტიოფტინგი (64), 3:1 ანდერსენი (90)

მიუნხენგლადბახი 0:2 ბაიერნი
0:1, 0:2 ეფენბერგი (8, 27ჯ)

მეორე ბუნდესლიგა

გამოტოვებული მატჩი

ბერლინი — ზანქტ პაული
გადაიდო



REUTERS

მანჩესტერი — ჩელსი. ძოლამ (მარჯვნივ) თავისი გოლი მაინც გაიტანა, გარი ნევილმა კი ხელი ვერ შეუშალა

REUTERS

იტალია — მსოფლიო. ბატიგოლმა (11) სახელი გაამართლა

იტალიის საუკუნე

გუშინ რომში, ოლიმპიურ სტადიონზე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საუკუნოვანი იუბილე იტალიისა და მსოფლიოს ნაკრებთა მატჩით აღინიშნა. იუბილარებმა 6:2 გაიმარჯვეს. მათგან გოლები ინძაგიმ, დი ფრანჩესკომ, ფუზერიმ და კიეზამ (3) გაიტანეს, მსოფლიოს ნაკრებიდან კი ბატისტუტა და ვეა გამოირჩნენ.

ვუელტა გაამთიულეს

სამშაბათს ესპანეთის ველოტურის ორგანიზატორებმა 1999 წლის რბოლის გრაფიკი გამოაქვეყნეს. გაისად „ვუელტა“ 4-26 სექტემბერს გასტანს და გაცილებით უფრო რთული იქნება სამთო ეტაპების გამო.

სიჩაუქის გამოცდა — პროლოგის შემდეგ 3480-კილომეტრიანი ტრასა 21 ეტაპად დაიყოფა: 10 ველად, 9 მთაში და ორიც სიჩაუქის გამოცდაც. ყველაზე რთული მონაკვეთი კი „ლა გამონალის“ მთაა, რომელზეც მრბოლებს ურთულესი, 1200-მეტრიანი აღმართის დაძლევა მოუხდებათ.

— „ლა გამონალს“ ანალოგი არ მოეძებნება, ეს რბოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იქნება“ — განაცხადა ესპანელმა ხოსე მარია ხიმენესმა, რომელიც წლევანდელ ვუელტაზე „მთის მეფე“ გახლდათ, მან გამონალს უწოდა ერთ-ერთი უმძიმესი მთა, რაც კი ოდესმე შეხვედრია.

ორგანიზატორებმა საგაისოდ რამდენიმე მრბოლის მიერ გამოთქმული პროტესტიც გაითვალისწინეს: ისინი ეტაპების ზედმეტი სიგრძით იყვნენ აღშფოთებულნი. ამიტომაც 1999 წლის „ვუელტას“ მონაწილეებს 200 კილომეტრზე მეტის გავლა აღარ მოუწევთ.

რბოლის ერთ-ერთი თავკაცის, ენრიკე ფრანკოს კომენტარი ასეთი იყო: გაისად „ვუელტა“ უფრო თანაბარი, დინამიური და მოკლე იქნება, ვიდრე 1998-ში, ისევე, როგორც ჯირო და ტურ დე ფრანსი.

ამერიკულმა ჟურნალმა „სპორტს ილუსტრეიტიდმა“ წლის რჩეული სპორტსმენები დაასახელა. ორივე ლაურეატი კეტბურთელი გამოდგა. წლის საუკეთესო ჰოუმრანერები მარკ მაკგვაიერი (მარცხნივ) და სემი სოსა რომაულ ტუნიკებში გამოაწყვეს და ყდაზეც განათავსეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29